აჭარა
გამოცემის 102-ე წელი
www.gazetiajara.ge
გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს
№130 (25.010) სამშაბათი, 29 - 30 ნოემბერი, 2022 წ. 50 თეთრი

## გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით



დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 15-20, მთაში - 5-10 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 17 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 760 მილიმეტრი.

მომდევნო 3 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

## კრიალოსანიუსი

სოციალურად დაუცველების დასაქმების პროგრამით დაახლოებით, 30 000 მდე სოციალურად დაუცველი დასაქმდა, მინიმუმ 200 000 შრომისუნარიანი სოციალურად დაუცველი გვყავს და ჩვენი სურვილია, რომ ყველა ეს ადამიანი დავასაქმოთ - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა. მისი თქმით, მნიშვნელოვანია, სოციალურად დაუცველების არა მხოლოდ საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვა, არამედ ბიზნესში მათი ეტაპობრივი გადასვლა და პროფესიული უნარების განვითარება.

* * *

ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის საქართველოს მონაკვეთის განვითარებისთვის 100 მილიონ დოლარზე მეტი ინვესტიცია ჩაიდება, - ამის შეახებ განცხადება ილჰამ ალიევმა გააკეთა. აზერბაიჯანის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ პროექტი ერთი წლის ან წელიწადნახევრის განმავლობაში უნდა დასრულდეს. ილჰამ ალიევის მანამდე გაკეთებული განცხადების მიხედვით, აზერბაიჯანი ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის განვითარებაზე ინვესტირებას, წლიურად ტვირთების გამტარობის 5 მილიონ ტონამდე გაზრდის მიზნით განახორციელებდა.

* * *

ნაციონალურ მოძრაობას თავმჯდომარის კანდიდატურაზე არჩევანის გაკეთება, შესაძლოა, ოთხ კანდიდატს შორის მოუწიოს. ეს იმაზეა დამოკიდებული, საბოლოოდ გადაწყვეტს თუ არა ზურაბ ჭიაბერაშვილი ჩაუდგეს სათავეში პარტიას, საიდანაც წლების წინ, საკუთარი სურვილით წავიდა. „თუ მსგავსი სურვილი აქვს, ტელევიზიით კი არ უნდა აგებინებდეს ამას პარტიის წევრებს, არამედ უნდა მოვიდეს პარტიის ოფისში“, - განაცხადა „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა ანა წითლიძემ ჭიაბერაშვილის კანდიდატურის შესახებ საუბრისას.

* * *

ნიკა მელიას განცხადებით, „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარეობის კანდიდატები „გაურკვეველ კამპანიებს აწარმოებენ, რაც სამარცხვინო სახეს იღებს“. „საარჩევნო პროცესი ოფიციალურად ჯერ არც დაწყებულა და უკვე სცდება ნორმალური პოლიტიკური პროცესის ფარგლებს, იღებს სამარცხვინო სახეს, რაც შესაძლოა, დამაზიანებელი აღმოჩნდეს როგორც პარტიისთვის, ისე მთლიანად ქვეყნისთვის“, - განაცხადა ენმ-ის თავმჯდომარემ.

მოამზადა
ია შველიძემ

# «შუახევობა» - ტრადიცია, რომელსაც მივიწყება არ უწერია

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

***იმხანად, როცა შუახევის რაიონს მურმან ჭაღალიძე ხელმძღვანელობდა, მისი აქტიური ჩართულობით, წლის დღესასწაული წამოიწყეს, რომელიც «სიმღერის დღესასწაულად» მონათლეს. თითქმის ოთხი ათეული წელია შუახეველები ტრადიციას არ ღალატობენ, ჭირნახულს დააბინავებენ და დღესასწაულს აღნიშნავენ.***



- მაშინ თვითმმართველობის სტრუქტურებში ვსაქმიანობდი, - გვითხრა 70 წელს გადაცილებულმა «საპატიო შუახეველმა» ვასო ხიმშიაშვილმა, როცა დღესასწაული პირველად აღინიშნა. შემდგომ, როგორც რაიონის კულტურის განყოფილების გამგეს, მქონდა პატივი უშუალოდ ჩავრთულიყავი ზეიმის ორგანიზებასა და მაღალ დონეზე ჩატარებაში. იყო ერთეულების გამოხდომები, ზეიმი საბჭოური გადმონაშთიაო, მაგრამ საღმა აზრმა გაიმარჯვა. არც მაშინ და არც ახლა ამ დღესასწაულს «საბჭოურობის» არაფერი ჰქონდა. მხოლოდ ერთი, თანაც შუახევსა და შუახეველებზე მორგებული სახეცვლილება განიცადა - «სიმღერის დღესასწაული» «შუახეობით» შეიცვალა, რაც მისასალმებელია.

### «პაუზამ ერთმანეთი მოგვანატრა»

კოვიდპანდემიის პირობებში კი შუახევში აღმშენებლობითი პროცესები გრძელდებოდა. სტუმარი უმალვე შენიშნავდა დაბა შუახევის ცენტრში მშენებარე ტაძრის ხარაჩოებზე მომუშავე დემურ მშვენიერაძესა და მის შეგირდებს. მას ხარაჩოები წლევანდელი «შუახევობის» დღესასწაულის წინ ჩამოხსნეს. ზეიმის ორგანიზატორებმა ძირითადი ღონისძიებების გასამართად სწორედ ტაძრისა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის წინამდებარე ტერიტორია შეარჩიეს.

... შუახევის ცენტრში არსებული სტადიონი ხან სიმინდის ყანებად აქციეს, ხან კიდევ პირუტყვის საძოვრად. ქვეყნის, რეგიონისა და შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის ძალისხმევით, ეს მოუწესრიგებელი ტერიტორია ფიფას სტანდარტების შესაფერის სპორტულ არენად იქცა. აჭარის მთავრობის ბიუჯეტიდან მობილიზებული ორი მილიონი ლარი «აჭარის პროექტების მართვის» კომპანიამ ბაქარ ჩიტაიას ხელმძღვანელობით, მიზნობრივად განკარგა და კონკურსში გამარჯვებულ შპს «გლობალსტანდარტმშენს» შესაძლებლობა მიეცა, პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები დაესრულებინა.

- აჭარის მთიანეთში ამ ტიპის სპორტული არენა პირველია,- თქვა ბაქარ ჩიტაიამ, - იგი 500 ადგილზეა გათვლილი. დაგებულია ფიფას მიერ სერტიფიცირებული ხელოვნური საფარი. გაკეთებულია სადრენაჟო სისტემა, 250 მეტრი სიგრძის საყრდენი კედელი მდინარე აჭარისწყლის მარჯვენა სანაპიროზე. სტადიონს აქვს თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი განათება, გასახდელები და საშხაპეები. აქ შესაძლებელია ქვეყნის წამყვანმა კლუბებმა ფეხბურთში მოსამზადებელი ვარჯიშები გაიარონ. მშვიდი გარემო, სუფთა ჰაერი საამისო პირობებს იძლევა. მაქვს პატივი, შუახეველებს, მათ სტუმრებს წლევანდელი ზეიმი ამ არენიდან მივულოცო და მრავალი სპორტსმენის წარმოჩენა ვუსურვო.

წლევანდელი ზეიმი მართლაც დასამახსოვრებელი იქნება ყველასთვის, განსაკუთრებით კი მათთვის, ვინც ახალი სტადიონის გახსნის ცერემონიალს დაესწრო. ყველა ერთმანეთს ეფერებოდა და აღნიშნავდა, პაუზამ ერთმანეთი როგორ მოგვანატრა და სახეცვლილებაც არ მოგვაკლოო.

სტადიონი საზეიმოდ გახსნეს აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა დავით მუჯირმა, შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ,ბაქარ ჩიტაიამ და სხვა ხელმძღვანელმა პირებმა. გაიმართა პირველი მატჩი ბათუმის «დინამოს» 15 წლამდე აღსაზრდელებსა და მათ შუახეველ თანატოლებს შორის. შუახეველებმა დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს.

### «საპატიო შუახეველთა» სიას 8 პიროვნება შეემატა

მოზეიმეთა ყურადღების არეალში მარტო ფეხბურთის სტადიონი არ მოქცეულა. მიმდინარეობს შუახევის კულტურის სახლის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები, მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა, რუსთაველის ქუჩაზე საყრდენი კედლების მოპირკეთება...

საზეიმოდ მორთულ ტერიტორიაზე წამყვანებმა ფრიდონ დავითაძემ და თამარ ხიმშიაშვილმა «შუახევობის» მონაწილეებსა და სტუმრებს უხმეს. შუახევის მერმა ომარ ტაკიძემ მათ მისასალმებელი სიტყვით მიმართა.

- ბედნიერებაა, როცა გაღიმებულ სახეებს, ქვეყანასა და მის ადათ-წესებზე შეყვარებულ ადამიანებს ხედავ. შუახეველებს შრომაც გვიყვარს და ჩვენს ადათ-წესებსაც ვეფერებით. ეს ზეიმიც სიყვარულის, ურთიერთპატივისცემის დემონსტრირებაა და ასე დარჩება თითოეული ჩვენგანის მეხსიერებაში, - აღნიშნა ომარ ტაკიძემ.

მოზეიმეებს მიესალმნენ თორნიკე რიჟვაძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ტიტე აროშიძე, როსტომ ლორთქიფანიძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი დეპუტატი ფრიდონ ფუტკარაძე და «საპატიო შუახეველების» დიპლომები 7 ადამიანს გადასცეს. წლევანდელ «შუახევობაზე» ეს ჯილდო აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარე თინათინ ზოიძეს, შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალის, საჯარო სკოლის დირექტორ ალექსანდრე შარაშიძეს, შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის ვეტერან თანამშრომელ გული ლორთქიფანიძეს, ა(ა)პი «შუახევის კომუნალური სერვისის» თანამშრომელ თამაზ ნატარიძეს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორ შალვა ბახტაძეს, ბათუმის რეფერალური საავადმყოფოს ქირურგს, მედიცინის მეცნიერებათა აკადემიურ დოქტორს, ასისტენტ პროფესორ რუსლან ბოლქვაძეს, მწერალს, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრს, ფილოლოგიის მეცნიერებათა აკადემიურ დოქტორს, რობაქიძის უნივერსიტეტის პროფესორ ნიაზ ზოსიძეს, სამეურნეო მუშაკს, ვეტერან ტრანსპორტიელ რევაზ ხიმშიაშვილს ერგოთ. თინათინ ზოიძე ობიექტური მიზეზების გამო დიპლომის გადაცემაზე ვერ გამოცხადდა.

- ეს ჩემი მრავალწლიანი შრომის აღიარებაა. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს მერგო პატივი წაბლანის 8-წლიან სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად დამეწყო მუშაობა. იმ დროიდან თითქმის ნახევარი საუკუნეა გასული. წლები შევალიე სახელისუფლებო ორგანოებში მუშაობას, ახლაც ასე გრძელდება. მადლობა ყველას, რომ მრავალწლიანი საქმიანობა ასე შემიფასეს, - გვითხრა გული ლორთქიფანიძემ.

იხ. მე-4 გვ.

## «ამ ომით წყდება უკანასკნელი იმპერიის ყოფნა-არყოფნის საკითხი და ევროპის მომავალი»

3

## მარტო ხიჭაურის სასწავლო უნივერსიტეტის საკმარისი იქნებოდა...

6

## გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:
577 20 43 55.



დარეკეთ «აჭარის» რედაქციაში - ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია თქვენი მოსაზრება! - 27-48-93

აჭარა 101

# აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის შეხვედრა თურქ კოლეგებთან

დარინა ბაბაიძე 27 48 93

*საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი ხანიშვილი აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრ ზაზა შავაძესთან ერთად თურქეთის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და ტყის რესურსების მინისტრის მოადგილე ებუბექირ გიზლიგიდერს შეხვდა*

შეხვედრაზე მხარეებმა ქვეყნებს შორის სოფლის მეურნეობის დარგში თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები განიხილეს.

ზაზა შავაძემ მადლობა გადაუხადა ბატონ ებუბექირ გიზლიგიდერს წლების განმავლობაში გაწეული მხარდაჭერისთვის. მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რეგიონში სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში მათ მიერ შეტანილი წვლილის შესახებ და სამომავლოდაც ნაყოფიერი თანამშრომლობის იმედი გამოთქვა.



სამინისტროში გამართულ შეხვედრას ელჩი ალი ქაან ორბაი, გენკონსული რიზა ქაღან ილმაზი, მინისტრის მოადგილეები და სხვა ოფიციალური პირები ესწრებოდნენ.

შეხვედრის ბოლოს მხარეებმა ერთმანეთს სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს.

# ახალი რეკრეაციული სივრცისა და სპორტული მოედნის მშენებლობის მიმდინარეობას გაეცნენ

ნაირა ზუზკარაძე 27 48 93

*ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძე და ქალაქის მერი არჩილ ჩიქოვანი ტაბიძის ქუჩაზე მიმდინარე რეკრეაციული სივრცისა და სპორტული მოედნის მშენებლობის მიმდინარეობას გაეცნენ*

პროექტის ფარგლებში ტერიტორიაზე განთავსდება საბავშვო ატრაქციონი და საბაღე ინვენტარი, დამონტაჟდება სპორტული ტრენაჟორები და დეკორატიული სანათები. ასევე, მოეწყობა გარე განათების სისტემა. ტერიტორია მოპირკეთდება დეკორატიული ფილებით და დაირგვება სხვადასხვა ჯიშის ხე-მცენარეები, სკვერი და ბავშვთა გასართობი მოედანი კი ლითონის ღობით შემოისაზღვრება.

სამუშაოები მიმდინარე წლის ბოლოს დასრულდება.



პროექტის ღირებულება ნახევარ მილიონ ლარს აღემატება.

ბოლო 2 წლის განმავლობაში ბათუმში ათობით სკვერი მოეწყო, წლის ბოლომდე კი, ოცამდე სკვერის მშენებლობის დასრულება იგეგმება.

# დაარსდა მელიტონ კუხიანიძის სახელობის ფესტივალი

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

*წელს გამოჩენილი მუსიკოსის, ლოტბარის, საზოგადო მოღვაწის, საქართველოს დამსახურებული არტისტის, აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლ „არსიანის“ დამაარსებლის მელიტონ კუხიანიძის დაბადებიდან 150 წელი შესრულდა*

თარიღთან დაკავშირებით, ანსამბლის ხელმძღვანელობის, კერძოდ, მისი დირექტორის გიორგი ჭანიშვილის ინიციატივით, დაარსდა ამაგდარი ხელოვანის სახელობის ფესტივალი.



რამდენიმე დღის წინ „არსიანის“ საკონცერტო დარბაზში პირველი ფესტივალი გაიმართა, რომლის მიზანია, ამ დიდი ხელოვანის სახელით, პოპულარიზაცია გაუწიოს და მომავალი თაობები აზიაროს ჩვენს უნიკალურ ქართულ ხალხურ სიმღერას. მის გახსნას ესწრებოდნენ აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენლები. სასიამოვნო ფაქტია, რომ დარბაზში მრავლად იყო ახალგაზრდობა.

ფესტივალზე სპეციალურად ჩამოვიდა მელიტონ კუხიანიძის ოჯახის სამი თაობა, მისი შვილიშვილის, ირინა კუხიანიძის ოჯახის წევრებთან ერთად. ფესტივალი გახსნა ანსამბლ „არსიანის“ მომღერალთა გუნდმა.

პირველ ფესტივალში მონაწილეობდნენ აჭარის რეგიონის ანსამბლები, რომლებიც მაყურებლის წინაშე ფოლკლორის საუკეთესო ნიმუშებით წარსდგნენ. ფესტივალისთვის სპეციალურად შეიქმნა სკულპტურა, რომელიც მონაწილეებს დიპლომებთან ერთად გადაეცათ.

ქალბატონმა ირინა კუხიანიძემ მუზეუმს საჩუქრად გადასცა ბატონი მელიტონის სურათი მისივე ავტოგრაფით, რომელიც მან თავის ძმას, ბესარიონს გაუგზავნა. აღსანიშნავია, რომ მოგვიანებით, ქართულმა ეკლესიამ ბესარიონ კუხიანიძე წმინდანად შერაცხა. ეს სურათი, როგორც მუზეუმის ხელმძღვანელმა ირინა ჩახვაძემ გვითხრა, მუზეუმში საპატიო ადგილს დაიჭერს.

გიორგი ჭანიშვილმა აღნიშნა, რომ ფესტივალი ტრადიციული გახდება და კიდევ უფრო ფართო მასშტაბებს შეიძენს.

# ბათუმის საკრებულოში განკარგულების პროექტი განიხილეს

ნაირა ზუზკარაძე 27 48 93

*ბათუმის საკრებულოში განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის სხდომა გაიმართა*

კომისიის წევრებმა განიხილეს განკარგულების პროექტი, რომელიც შპს „წყალბურთის კლუბი ბათუმის“ ლიკვიდაციაზე ბათუმის მერისთვის თანხმობის მიცემას ითვალისწინებს. როგორც სხდომაზე აღინიშნა, შპს „წყალბურთის კლუბი ბათუმის“ ლიკვიდაცია ხორციელდება კლუბის ფუნქცია-მოვალეობების ა(ა)იპ „ბათუმის სპორტული ცენტრისთვის“ გადაცემის მიზნით.

სხდომაზე, ასევე, განიხილეს ქ. ბათუმში მელიქიშვილის ქ. №6-ში ლამარა ბოლქვაძის მემორიალური დაფის განთავსების საკითხი, ფარნავაზ მეფის ქ. N92/94-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე ვალერი ალთაბაევის და გორგილაძის ქ. №2-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე პაპულა თალაკვაძის მემორიალური დაფების განთავსების საკითხები.

საკრებულოს წევრმა აკაკი გვიანიძემ ინიციატივის სახით სხდომაზე წარადგინა საკითხი ქალაქ ბათუმში, ჭავჭავაძის, ზუბალაშვილის, 26 მაისისა და ლუკა ასათიანის ქუჩებს შორის არსებული სკვერისთვის იოსებ შერვაშიძის სახელის მინიჭების თაობაზე.

კომისიის გადაწყვეტილებით, წყალბურთის კლუბის ლიკვიდაციის და ქ. ბათუმში მელიქიშვილის ქ. N6-ში ლამარა ბოლქვაძის მემორიალური დაფის განთავსების საკითხებს საკრებულო 29 ნოემბერს, მორიგ სხდომაზე განიხილავს, ხოლო დღის წესრიგით გათვალისწინებულ დანარჩენ სამ საკითხს, რომლებზეც კომისიამ ასევე დადებითი რეკომენდაცია გასცა - უახლოეს მორიგ სხდომაზე.



## ამბები

### შაბათ-კვირის ქრონიკა

ბათუმის ყინულის სასახლეში ღია ფესტივალი გაიმართა ყინულის ჰოკეიში. ჩემპიონატი წრიული შეჯიბრების ფორმატით წარიმართა და მასში 13 წლამდე ასაკის 3 გუნდი მონაწილეობდა. ტურნირის გამარჯვებული ორი მოგებით ბათუმის 13 წლამდელთა ჰოკეის გუნდი გახდა. ფესტივალი ბათუმის სპორტული ცენტრის ინიციატივით ჩატარდა. მისი მიზანი სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაცია და ჯანსაღი წესით ცხოვრების დამკვიდრება იყო.

* * *

ხელვაჩაურში, იუნესკოს მიერ ქართული ჭიდაობის მსოფლიო აღიარების დღისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი გაიმართა ქართულ ჭიდაობაში. ტურნირში 15 მუნიციპალიტეტის 100-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა. შეჯიბრება 6 წონით კატეგორიაში ჩატარდა. ცნობისთვის, 2018 წლის 29 ნოემბერს იუნესკომ ქართული ჭიდაობა მსოფლიო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში შეიტანა. წელს პირველად, თბილისში ქართულ ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონატიც გაიმართა.

* * *

ბათუმის საჯარო სკოლების პედაგოგებისათვის საქველმოქმედო სამედიცინო აქცია მოეწყო, რომელიც უფასო დიაგნოსტიკურ და ინსტრუმენტულ კვლევებს და ექიმის კონსულტაციას მოიცავს. აქცია ორგანიზაციის „ქართული ოცნება ჯანმრთელი მომავალი“ საქართველოს პარლამენტის მხარდაჭერით იმართება.

* * *

ბათუმში განათლების საერთაშორისო გამოფენა გაიმართა. ინფორმაცია სასწავლო პროგრამების შესახებ სტუდენტებსა და დაინტერესებულ პირებს დიდი ბრიტანეთის, ამერიკის, გერმანიისა და შვეიცარიის უმაღლესი სასწავლებლებისა და კოლეჯების წარმომადგენლებმა გააცნეს.

* * *

საქართველოს ეროვნული ლიგის 35-ე ტურის შეხვედრაში „დინამომ“ „გაგრა“ მარტივად - 1:4 დაამარცხა. ანგარიში 24-ე წუთზე შორეული დარტყმით ჯიღაურმა გახსნა და ბათუმელები წინ გავიდნენ. 42-ე წუთზე ღუდუშაურის გადაცემით, გოლი ფლამარიონმა გაიტანა და ტაიმი „დინამომ“ 0:2 მოიგო. მეორე ნახევარში ჯიღაურის დარტყმული ბურთი ჭანტურიამ ჩაჭრა და ავტოგოლით ბათუმელთა უპირატესობა კიდევ უფრო გაიზარდა. 62-ე წუთზე სტანდარტული სიტუაციიდან ჩაწოდებული ბურთი ნოზაძემ გაიტანა და სხვაობა შეამცირა. 85-ე წუთზე კი შეხვედრაში საბოლოო ანგარიში - 1:4 მათე ვაწაძემ დააფიქსირა. ბათუმის „დინამოს“ მთავარმა კონკურენტმა თბილისის „დინამომ“ გასვლაზე წყალტუბოში „სამგურალთან“ ფრედ 1:1 ითამაშა და მნიშვნელოვანი 1 ქულა მოიპოვა. 21-ე წუთზე იმერლები დაწინაურდნენ, ბურთი ჟერალდოს გადაცემით ნიქაბაძემ გაიტანა. ამის შემდეგ ჟერალდოს ანგარიშის გაზრდა შეეძლო, თუმცა ერთი ერთზე გასულმა ბრაზილიელმა დარტყმა დააგვიანა. 56-ე წუთზე ბილენკის დაგდებული ბურთი იმრანმა გაიტანა და ანგარიში გაათანაბრა. მატჩის ბოლო წუთზე „სამგურალის“ ფეხბურთელები პენალტის დანიშვნას ითხოვდნენ, მაგრამ შეხვედრის არბიტრმა თერთმეტმეტრიანი არ დანიშნა. კომპენსირებულ დროში თბილისელების კარის დარაჯმა ლუკა კუტალაძემ მისი გუნდი ორჯერ გადაარჩინა და „დინამო“ ისევ სატურნირო ცხრილის სათავეში დატოვა.

# „ამ ომით წყდება უკანასკნელი იმპერიის ყოფნა-არყოფნის საკითხი და ევროპის მომავალი“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

*ამჟამად დასავლეთის და რუსეთის დაპირისპირების არეალი უკრაინაზე გადის. სწორედ იქ წყდება ევროპისა და პოსტსაბჭოთა ქვეყნების ბედიც. რუსეთმა ევრაზიის კონტინენტზე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყველაზე ფართომასშტაბიანი ომი გააჩაღა. მთელი მსოფლიო არა მარტო გმობს კრემლის აგრესიას უკრაინის მიმართ, არამედ აგრესიის ობიექტს ეხმარება სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებაში. მიზეზი? თუ უკრაინა დამარცხდება, ეს დასავლეთის ეპოქალური მარცხი იქნება, რაც ამ უკანასკნელმა სათანადოდ შეაფასა და რუსეთს მძლავრი ეკონომიკური სანქციები დაუწესა, უკრაინას კი მნიშვნელოვან სამხედრო და ფინანსურ დახმარებას უწევს. უნდა ითქვას, რომ არა აშშ-ის, დასავლეთის მხარდაჭერა, ცხადია, უკრაინას გაუჭირდებოდა რუსეთთან გამკლავება, ყოველ შემთხვევაში, ასეთ მოსაზრებას ავითარებენ დასავლელი, აგრეთვე ქართველი ანალიტიკოსები.*

*ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე გვესაუბრება ახალი უმაღლესი სასწავლებლის „ნიუ-უნის“ ლექტორი საერთაშორისო სამართალში* ***აკაკი ბერიძე****.*

**- ომის დაწყებამდე აშშ-ის ოფიციალური პირები რუსეთის იოლ გამარჯვებას ვარაუდობდნენ. ეს განგებ ხომ არ კეთდებოდა, რათა რუსეთი თავის ძალებში დარწმუნებული ყოფილიყო და რეალურად ვერ შეეფასებინა უკრაინის სიძლიერე?**

- რუსეთის აგრესია, მართალია, მხოლოდ უკრაინის ტერიტორიით არის შემოსაზღვრული, მაგრამ ის საფრთხის ქვეშ აყენებს ევროპის ათწლეულების განმავლობაში ურყევ უსაფრთხოების კონცეფციას. რუსეთს სურს, ევრაზიული კავშირის კონცეფცია შემოიტანოს, რაც მთელ სამეზობლოზე დიდი ევრაზიული ქვეყნების გავლენის სფეროების გაძლიერებას გულისხმობს: ჩინეთისთვის - სამხრეთ ჩინეთის ზღვაზე, ირანისთვის - ერაყზე, ლიბანზე, სირიაზე, იემენზე, ისევე როგორც თვით რუსეთისთვის - ყოფილ საბჭოთა სივრცეზე. ევროპული უსაფრთხოების კონცეფციას შეეჯახა ევრაზიული კავშირისა და რუსეთის მოკავშირეების სურვილები. აშშ-ის მაღალჩინოსნების მხრიდან რუსეთის ამ აგრესიის შესაჩერებლად გაკეთებული კომენტარების გასაანალიზებლად ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ აშშ-ში წარმოდგენილია სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფები, ექსპერტები, ალიანსები... როდესაც ვკითხულობდი ამ პერიოდში აკადემიურ ლიტერატურას, დავინახე, რომ იქ სრულიად საპირისპირო განცხადებებიც კეთდებოდა. საუბარი იყო რუსეთის შეიარაღებული ძალების ძველმოდურობაზე, გაუმართაობასა და ნატოს სტანდარტებთან შეუთავსებლობაზე. რუსეთის იოლ გამარჯვებაზე განცხადებები შესაძლოა, იყო მაპროვოცირებელი, რათა რუსეთი მოუმზადებელი ყოფილიყო სიურპრიზებისათვის.

**- უდავოა, რომ ევროპას მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ასეთი ფართომასშტაბიანი ომი არ ახსოვს. შეეძლო თუ არა დასავლეთს რუსეთის აგრესიის აღკვეთა თუნდაც 2014 წელს მძლავრი ეკონომიკური სანქციების დაწესებით? და თანმდევი კითხვა: დაწესებული სანქციები რამდენად მნიშვნელოვანია რუსეთის დამარცხებისთვის?**

- სამწუხაროდ, ეკონომიკური სანქციები ვერ აჩერებს რუსეთის აგრესიას. ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ ეკონომიკურმა სანქციებმა შესაძლოა დემოკრატიულ ინსტიტუტებს შეუქმნას საფრთხე და ამით მოსახლეობასაც მიადგეს ზიანი. რუსეთს კი ასეთი ინსტიტუტები არ გააჩნია, სანქციები რეალურად



ეხება მხოლოდ სახელმწიფო უწყებებს იზოლირებულად და კონკრეტულ ოლიგარქებს, რომლებიც ხელისუფლებასთან არიან დაახლოებულნი. ასეთი ეკონომიკური სანქციები ვერ იქნება გადამწყვეტი, თუ ის არ გამოიწვევს სამოქალაქო აფეთქებას და მღელვარებას ან ფინანსური ინსტიტუტების ნგრევას. შეიძლება ჰქონდეს დამაჩქარებელი ეფექტი, თუმცა გადამწყვეტი - არა. მიუხედავად ამისა, დასავლეთი ყოველდღიურად ჯერ კიდევ ურიცხავს მოსკოვს ასობით მილიონ დოლარს მიწოდებული გაზის სანაცვლოდ, რაც რუსეთის საომარ მოქმედებებს ხმარდება. მიმაჩნია, რომ მთავარი დარტყმა რუსულ გაზსა და ნავთობზე სრული ემბარგოს დაწესება იქნება. ეს რადიკალურად შეამცირებს მოსკოვის ფინანსებს და, ამასთან, კრემლი ვერ მოახერხებს ალტერნატიული ენერგომატარებლების და ბაზრების მოძიებას, სადაც მას გაზის ევროპელების მსგავს საფასურს გადაუხდიან. დასავლეთმა დააწესა ფასების მინიმალური და მაქსიმალური ლიმიტი რუსეთის ნავთობსა და გაზზე. ესეც ერთგვარი მინიშნებაა, რომ მათ სურთ რუსული ენერგომატარებლებისგან თავის დაღწევა. ნატოს სამიტის პარალელურად G7-ის ქვეყნების ლიდერების შეხვედრაზე კიდევ ერთხელ იმსჯელეს უკრაინა-რუსეთის ომსა და რუსული აგრესიის შეჩერებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. კიდევ ერთხელ აღინიშნა, რომ პუტინს, ამ აგრესიის არქიტექტორებსა და მხარდამჭერებს, მათ შორის ბელარუსში - ლუკაშენკოს რეჟიმს პასუხისმგებლობა დაეკისრება. ბაიდენმა G7-ის შედეგებზე საუბრისას კატეგორიულად განაცხადა, რომ რუსეთს დაატოვებინებენ დიდ ოცეულსაც.

**- ამჟამად რა ფაზაა, თქვენი აზრით, რუსეთ-უკრაინის ომში და რას უნდა ველოდოთ?**

- აქ არის „მეორე ავღანეთის“ საფრთხე, რადგან რუსეთს არ აქვს ომის დასრულების სანდო პროგრამა, ამგვარი რუსული ტაქტიკა კი მხოლოდ ავღანეთის სცენარის მომასწავებელია. ომის ეს ეტაპი აშკარად აჩვენებს, რომ უკრაინა შედგა, როგორც ეროვნული სახელმწიფო, რომელმაც ევროპას, დასავლეთს დაანახა მაგალითი, თუ როგორ უნდა გაუმკლავდე აგრესიას.

**- ვხედავთ იმასაც, რომ მთელი მსოფლიო ეხმარება მას, მაგრამ უკრაინის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა თქვა: „დასავლეთი იღვწის იმისთვის, რომ უკრაინამ არ წააგოს ამ ომში და არა იმისთვის, რომ მოიგოს“...**

- უკრაინის ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ასევე ამ ქვეყნის პოლიტიკური ელიტის განცხადებებში სხვა კონტექსტს ვხედავ. მათ სურთ დასავლეთის პირდაპირი ჩართვა ომში, თუმცა ამას ეს უკანასკნელი ერიდება. მოგვწონს თუ არა, დასავლეთისა და ნატოს პოლიტიკა რუსეთის აგრესიის მიმართ საკმაოდ მიზანდასახულია. ისინი უკრაინას, ომის დაწყებამდეც და შემდეგაც, არასდროს ჰპირდებოდნენ ომში პირდაპირ ჩართვას. მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანეთის პრემიერი ცალსახად პროდასავლურ და პროუკრაინულ განცხადებებს აკეთებდა, მასაც გაუჭირდა ლორდთა პალატაში უკრაინის დახმარების პაკეტის გატანა. ნატო და დასავლეთი უკრაინას ეხმარება ფინანსებით, იარაღით, სამხედრო აღჭურვილობით, ინსტრუქტაჟით... ამით რეალურად ხორციელდება რუსეთის ჯარების შეკავებაც და განდევნაც. იარაღი და ფული - ეს ის ინსტრუმენტებია, რომლითაც ხერხდება რუსეთის ჯარის არა მარტო შეკავება, არამედ ზოგი მიმართულებით უკანდახევაც კი. მგონია, ნატოს რაღაც სახით მოუწევს შესვლა ამ ომში, თუნდაც უკრაინისთვის უფრო ეფექტური და მაღალი ხარისხის შეიარაღების მიწოდებით, თუმცა, ვფიქრობ, დასავლეთს ამ ომის გაგრძელება ხელს აძლევს, თუ ის მხოლოდ უკრაინის ტერიტორიაზე იქნება - ნებისმიერი ომი ეკონომიკას ანგრევს და ყოველი დღე ძირგამომთხრელია რუსეთის ეკონომიკისთვისაც.

**- ექსპერტები აცხადებენ, რომ კონვენციურ ომში რუსეთი დამარცხდა უკრაინასთან და ახლა კრემლი უკრაინის ენერგოინფრასტრუქტურას ანადგურებს. რის მიღწევას ცდილობს ამით რუსეთი და ამ მხრივ დასავლეთის დახმარება რამდენად თანმიმდევრულია?**

- ყველა პოზიციაზე უკრაინის გამარჯვება ნათელია. გარდა ამისა, უკრაინამ მოახდინა საკუთარი სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება, რაც, რუსეთის აზრით, საეჭვო იყო. რუსეთი ანადგურებს არა მხოლოდ ენერგოინფრასტრუქტურას, სამოქალაქო ობიექტებსაც. ჰააგის რეგულაციებითა და ჟენევის ოთხივე კონვენციით, რომლებიც ომის სამართალს ეხება, რუსეთის ხელისუფლების პასუხისმგებლობა დადგება ომის დანაშაულებისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისთვის. ვერავინ იწინასწარმეტყველებს, რუსეთი რომელ სამოქალაქო ობიექტებს ააფეთქებს, შესაბამისად, ვფიქრობ, კოლოსალური ფინანსური დახმარების პაკეტები დაეხმარება უკრაინას დანგრეული ინფრასტრუქტურის რაღაც დონეზე ხელახლა აშენებაში.

**- როგორც ვიცით, დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი უკრაინის მკაფიო მხარდამჭერი იყო, ახალიც იმავე გზას ადგას, თუმცა ზოგიერთებს ამაში ეჭვი ეპარებოდათ...**

- რაზეც ღიად ვერ საუბრობს აშშ-ის პოლიტიკური ელიტა, იმაზე ამახვილებს ყურადღებას დიდი ბრიტანეთი - რეალურად ახმოვანებს აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, რაც შტატებში არ ისმის გარკვეული მიზეზების გამო. მეორე მხრივ, ლორდთა პალატას ყოველთვის ჰქონდა იმის ამბიციაც და კულტურაც, რომ ევროპული წესრიგის ერთ-ერთი გარანტი უნდა იყოს დიდი ბრიტანეთი. ლორდთა პალატაში რა პოლიტიკური კომბინაციაც არ უნდა გათამაშდეს, სხვა პრემიერიც რომ მოვიდეს, ბრიტანეთი მაინც დარჩება ევროპული უსაფრთხოების, წესრიგის გარანტი. ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკა არა ენთუზიაზმზე, არამედ პრაგმატიზმზეა აგებული. მათ იმიტომ დატოვეს ევროკავშირი, რომ ვერ ხედავდნენ კონტინენტის განვითარების მკაფიო კონტურებს, თუმცა ბრიტანეთმა ევროკავშირზე მეტი გააკეთა პოლიტიკური განცხადებების კუთხით რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ.

**- ამას წინათ ევროპარლამენტმა რუსეთი ტერორიზმის ხელშემწყობ სახელმწიფოდ აღიარა. ეს რისი მანიშნებელია?**

- ევროპარლამენტის დეპუტატებმა 23 ნოემბრის სხდომაზე მიიღეს რეზოლუცია, რომლითაც რუსეთს ტერორიზმის ხელშემწყობ სახელმწიფოდ ცნობენ. მათ განაცხადეს, რომ ნიადაგს ამზადებენ რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინსა და მისი მთავრობის საერთაშორისო ტრიბუნალზე წარსადგენად. რეგულარული თავდასხმები და სიმხეცე, რასაც რუსეთის ფედერაცია ახორციელებს უკრაინის სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ, სამოქალაქო ინფრასტრუქტურის დანგრევა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სხვა სერიოზული დარღვევები უკრაინის მოსახლეობის წინააღმდეგ ტერორისტულ აქტებს უტოლდება და სამხედრო დანაშაულს წარმოადგენს. პარლამენტი მოუწოდებს ევროკავშირს, გააგრძელოს რუსეთის საერთაშორისო იზოლაცია, მათ შორის, როდესაც საქმე ეხება რუსეთის გაწევრიანებას საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ორგანოებში, როგორებიცაა გაეროს უშიშროების საბჭო. ევროპარლამენტარებს ასევე სურთ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების შემცირება, მის ოფიციალურ წარმომადგენლებთან ევროკავშირის კონტაქტების აბსოლუტურ მინიმუმამდე დაყვანა და ევროკავშირში რუსეთის სახელმწიფოსთან დაკავშირებული პროპაგანდისტული ინსტიტუტების აკრძალვა. იმის გამო, რომ ევროკავშირს ამჟამად არ შეუძლია ოფიციალურად განსაზღვროს სახელმწიფოები ტერორიზმის სპონსორებად, პარლამენტი მოუწოდებს ევროკავშირს და მის წევრ ქვეყნებს, შექმნან შესაბამისი სამართლებრივი ბაზა და განიხილონ რუსეთის დამატება ასეთ სიაში, რაც გამოიწვევდა მნიშვნელოვან შემაკავებელ ზომებს მოსკოვის წინააღმდეგ და ფართოდ შემზღუდველ გავლენას მოახდენს ევროკავშირის რუსეთთან ურთიერთობებზე. ამავდროულად, ევროპარლამენტარები მოუწოდებენ საბჭოს, რომ ევროკავშირის ტერორისტთა სიაში შეიყვანოს რუსული გასამხედროებული ორგანიზაცია „ვაგნერის ჯგუფი“, 141-ე სპეციალური მოტორიზებული პოლკი (რომელიც ცნობილია როგორც „კადიროველები“) და რუსეთის მიერ დაფინანსებული სხვა შეიარაღებული ჯგუფები, მილიცია და მარიონეტები. ევროპის საბჭო იყო პირველი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის საპარლამენტო ასამბლეამაც (PACE) რუსეთის დღევანდელი რეჟიმი ტერორისტულად ცნო. ნატოს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც ალიანსის წევრებს მოუწოდებს, ამჟამინდელი რეჟიმის პირობებში რუსეთი ტერორისტულ სახელმწიფოდ გამოაცხადონ. გარდა ამისა, რუსეთის ხელისუფლება ტერორისტულ რეჟიმად გამოცხადებული ჰყავს 6 ქვეყნის - უკრაინა, ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი, პოლონეთი, ჩეხეთი - ეროვნულ პარლამენტებს.

**- ყველა ომი, საბოლოოდ, მოლაპარაკებით მთავრდება. ამ მიმართებით უკრაინისთვის ომის სასურველი შედეგით დასრულება რა ფაქტორებზე იქნება დამოკიდებული?**

- უახლოეს მომავალში არ მგონია შესაძლებელი ამ ომი დასრულება ან დასრულება მოლაპარაკებებით. ამ შემთხვევაში რუსეთს მოუწევს უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის აღიარება, ჯარების გაყვანა, რეპარაცია (ზარალის ანაზღაურება) მიყენებული ზიანისთვის.

**- დაბოლოს, წყდება თუ არა უკრაინაში ევროპისა და პოსტსაბჭოთა ქვეყნების ბედი?**

- ზემოთ აღვნიშნე, რომ ამ ომში წყდება უკანასკნელი იმპერიის ყოფნა-არყოფნის საკითხი და ევროპის მომავალი უსაფრთხოების კონცეფციაც სწორედ მისი დასრულების შემდეგ შეიქმნება.

## უცხოეთი

ნატოს გენერალურ მდივან იენს სტოლტენბერგის განცხადებით, უკრაინისთვის Patriot-ის ტიპის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების გადაცემაზე გადაწყვეტილება ცალკეულმა ქვეყნებმა უნდა მიიღონ, რაც ნატოსთან შეთანხმებას არ საჭიროებს. „კონკრეტულ სისტემებზე მისაღები კონკრეტული გადაწყვეტილებები ეროვნულ დონეზეა მისაღები. ხანდახან არსებობს შეთანხმებები საბოლოო მომხმარებლებთან და სხვა საკითხები, ამიტომ საჭიროა მოკავშირეებთან კონსულტაციები, მაგრამ საბოლოოდ ეს გადაწყვეტილება ქვეყნების მთავრობებმა უნდა მიიღონ“, - განაცხადა სტოლტენბერგმა. მანამდე გერმანიაში განაცხადეს, რომ უკრაინაში ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების გაგზავნა ნატოსთან უნდა იყოს შეთანხმებული.

* * *

უკრაინაში ჩადენილი ომის დანაშაულების გამოძიებისა და ომის დამნაშავეების სამართლებრივი დევნის განსახილველად, გერმანიის ინიციატივით, G7-ის იუსტიციის მინისტრებმა პირველი შეხვედრა გამართეს. „ძირითადად, ვისაუბრებთ უკრაინის ტერიტორიაზე ჩადენილ ომის საშინელ დანაშაულებზე, რომელთა გამოძიებაც და დამნაშავეების პასუხისგებაში მიცემაც გვინდა. ამისთვის კიდევ უფრო ეფექტურ კოორდინაციაზე შევთანხმდებით“, - განაცხადა გერმანიის იუსტიციის მინისტრმა მარკო ბუშმანმა.

* * *

ჩინეთში, მთავრობის ნულოვანი კოვიდპოლიტიკის წინააღმდეგ გამართული საპროტესტო აქციის მონაწილეებმა პრეზიდენტ სი ძინპინის გადადგომა მოითხოვეს. პოლიციამ შანხაიში დემონსტრანტების დასაშლელად ე. წ. წიწაკის სპრეი გამოიყენა. რამდენიმე ადამიანი დააკავეს. საპროტესტო აქციები ჩინეთის სხვა ქალაქებში, მათ შორის დედაქალაქ პეკინსა და უხანშიც გაიმართა.

* * *

თუ უკრაინაში რუსეთი გაიმარჯვებს, ეს მთელი ევროპის მარცხი იქნება, - განაცხადა პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა მატეუშ მორავეცკიმ. ის კიევში უკრაინელ და ლიეტუველ კოლეგებს შეხვდა. „ვარშავა კიევის მხარესაა, რადგან ეს თავისუფლების მხარეა. დარწმუნებული ვარ, არსებობს მხოლოდ ერთი შედეგი: ან გაიმარჯვებს უკრაინა, ან დამარცხდება მთელი ევროპა, - განაცხადა მორავეცკიმ.

* * *

ევროკავშირში ერთ-ერთი ყველაზე საშიში კრიმინალური ქსელის წინააღმდეგ ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად 44 ადამიანი დააკავეს. ამ უპრეცედენტო ოპერაციაში 11 ქვეყნის სამართალდამცავი ორგანოები მონაწილეობდნენ. მათივე ცნობით, 8 ქვეყანაში ჩატარებული გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ რამდენიმე დანაშაულებრივი ორგანიზაცია ევროკავშირში და მის ფარგლებს გარეთ ნარკოტიკებით ვაჭრობასთან, ფულის გათეთრებასა და უკანონო გამდიდრებასთან დაკავშირებულ მასშტაბურ კრიმინალურ საქმიანობას ეწეოდა. სპეცოპერაცია ჩატარდა ლიეტუვის გენერალური პროკურატურის, ასევე ჩეხეთის, ლატვიის, საფრანგეთის, გერმანიის, პოლონეთის, ნორვეგიის, სლოვაკეთის, უნგრეთის, ესპანეთის და აშშ-ის მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად, ევროჯასტისა და ევროპოლის კოორდინაციით.

მოამზადა
ია შველიძემ

# „განათლება – მომავლის აკვანი“

## პირველი ეროვნული კონფერენცია – პედაგოგებისთვის

**დარინა ბაბაიძე 27 48 93**

*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა პედაგოგების პირველ ეროვნულ კონფერენციას* ***EdCamp Georgia****-ს უმასპინძლა. კონფერენციაში განათლების სფეროს 35 ექსპერტი და 150 პედაგოგი მონაწილეობდა საქართველოს ყველა რეგიონიდან. ორი დღის განმავლობაში ჩატარდა საექსპერტო პანელები განათლების ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა: ჰუმანური პედაგოგიკა, ინტუიციური პედაგოგიკა, მომავლის პროფესიები, 21-ე საუკუნის განათლება,* ***STEM*** *მიმართულება, დიგიტალიზაციის პრობლემები.*



EdCamp-ის მიზანია განათლების პრაქტიკოსების თანამშრომლობა და თანაშემოქმედება ახალ სადისკუსიო ფორმატში. იგი ითვალისწინებს ისეთი გარემოს შექმნას, სადაც პედაგოგებს შეეძლებათ ერთმანეთს გამოცდილება გაუზიარონ, შეხვდნენ ქართველ და უცხოელ კოლეგებს, მოისმინონ წამყვანი მასწავლებლებისა და ფსიქოლოგების მოხსენებები.

პედაგოგების პირველი ეროვნული კონფერენცია, EdCamp Georgia-ს ორგანიზებით, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტნიორობითა და აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაფინანსებით ჩატარდა. კონფერენცია გახსნა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა და აღნიშნა, რომ სამინისტრო მხარს უჭერს ისეთი პროექტების განხორციელებას, რომელიც პედაგოგების გაძლიერებას, მათ პროფესიულ ზრდას უწყობს ხელს.

ინიციატივა EdCamp-ი 2010 წელს ჩამოყალიბდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამერიკელმა მასწავლებლებმა პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული განვითარების მიზნით, ალტერნატიული გზის შექმნა გადაწყვიტეს. მას შემდეგ EdCamp-ის მოძრაობა 40-ზე მეტ ქვეყანაში გავრცელდა, საქართველოში კი პირველად ატარდა EdCamp Georgia-ს თანადამფუძნებლის და დირექტორის ირინა ცისკარიძის მონდომებითა და დამსახურებით.

კონფერენციასთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრს მაია ხაჯიშვილს.

- ყველა ის პლატფორმა, რომელიც ითვალისწინებს მასწავლებლების მხარდაჭერას, მათი პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებას ერთმანეთის პრაქტიკის და გამოცდილების გაზიარებით, კიდევ უფრო მეტი სიახლის შეტანას საკლასო ოთახებში, ბუნებრივია, საბოლოოდ, მოსწავლეების ხარისხიანი განათლების მიწოდებაზეა ორიენტირებული. აქედან გამომდინარე, სამინისტრო ყოველთვის ცდილობს, მხარი დაუჭიროს მსგავს აქტივობებს. კონფერენციიდან და მიღწეული შედეგებიდან გამომდინარე, ბუნებრივია, შემდგომში შეფასდება მისი წარმატება, ვინაიდან ეს განსხვავებული პლატფორმაა, უფრო მეტი თავისუფლება აქვს და განსხვავებული მიდგომებითაც ხელმძღვანელობენ. მინდა დიდი წარმატება ვუსურვო ყველა პედაგოგს, ვინც ჩართულია კონფერენციაში, - გვითხრა მინისტრმა.

როგორც „მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს“ მფლობელმა ლადო აფხაზავამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, კონფერენცია მიზნად ისახავს, ურთიერთგამოცდილების გაზიარებას: „ვფიქრობდი, მხოლოდ აჭარიდან იქნებოდნენ მასწავლებლები და აღმოჩნდა, რომ კონფერენცია ძალიან მასშტაბურია. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ მასწავლებლებს აქვთ სურვილი, თავისი გამოცდილება სხვას გაუზიარონ და სხვისგანაც ისწავლონ. ეს კონფერენცია არის ერთ-ერთი ორგანიზაციის ინიციატივა და მას ბიზნესსექტორმა, უნივერსიტეტმა და აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ დაუჭირა მხარი. მადლობა მათ. აქ მიღებულ ცოდნას აუცილებლად ჩიბათის საჯარო სკოლაში დავნერგავ“.

- EdCamp-მა საინტერესო კონფერენცია ჩაატარა, - გვითხრა ფსიქოლოგმა პაატა ამონაშვილმა, - ამ კონფერენციას ძალიან კეთილშობილური მიზანი აქვს - მასწავლებლები გახდნენ უფრო გულისხმიერები, კეთილები, ბავშვების მოსიყვარულეები, რაც კარგად აისახება მოსწავლეებსა და მათ შედეგებზე. ჩემი თემა იყო „მომავლის ქალაქი - მზიანეთი“. მზიანეთში ცხოვრების პრინციპი დაფუძნებული არის ბავშვის ფსიქოლოგიის გაგებაზე, დაკვირვებაზე, ჰუმანური პედაგოგიკის საფუძვლებზე. ეს არის ნიმუში, თუ როგორ შეიძლება ავაგოთ ბავშვებთან ურთიერთობა ისე, რომ ისინი იყვნენ უფრო მოტივირებულები, მეტად იმეცადინონ და განვითარდნენ. ცხადია ეს არ არის სკოლა, ცხადია, ეს არის განმავითარებელი ცენტრი, რომელიც პერიოდულად იწვევს მშობლებს, უფროსებს ბავშვებთან ერთად იმისთვის, რომ ჰუმანური პედაგოკიკა ვისწავლოთ და ბავშვებთან ურთიერთობაში დავიხვეწოთ.

# «შუახევობა» - ტრადიცია, რომელსაც მივიწყება არ უწერია

პირველი გვერდიდან

**თამაზ ნატარიძე:** - მუხლჩაუხრელი შრომა დამიფასდა. ეს დიპლომი ასეულობით მოზეიმის თანდასწრებით გადმომცეს, რომლებმაც ჩემი დიდი სიხარული გაიზიარეს.

**რუსლან ბოლქვაძე:** - ადამიანები ჩვენს ბედს თავად ვჭედავთ. ვალდებულად მივიჩნევდი შუახეველებზე უანგარო ზრუნვას. ეს ჯილდო მეტს მავალებს. ჩემს ასაკში პირველს მომენიჭა «საპატიო შუახეველის» წოდება.

**შალვა ბახტაძე:** 70 წელი უკან მოვიტოვე, დამიფასდა გაწეული პედაგოგიური და მეცნიერული მოღვაწეობა. გამახარა ყოფილი მოსწავლეების მოლოცვებმა, რომლებიც დღეს სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობენ. შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელების ეს აღიარება საფუძველს მაძლევს ვთქვა, რომ არავინ არაფერს ივიწყებს, ამაგი ყველას დაუფასდება.

**ნიაზ ზოსიძე:** ადგილობრივ გაზეთში ვეზიარე ჟურნალისტის რთულ და საპატიო პროფესიას. თითქმის 35 წელია შემოქმედებით საქმიანობას, მეცნიერულ კვლევებს ვეწევი. შუახეველებმა იციან თანარაიონელის ღვაწლის დაფასება. ყველას დიდი მადლობა.

მოზეიმეებს მიესალმნენ შუახევის მუფთი ასლან შარაშიძე, პოეტი მერაბ მაკარაძე.



### «მოდი, ნახე, მე აქ ვსახლობ...»

წინა საუკუნის 90-იან წლებში ზოგიერთი შუახეველი «ფეხის ხმას» აჰყვა და ვაზს სხვა კულტურა ჩაანაცვლა. «მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების განვითარების საერთაშორისო პროგრამის» ამოქმედების შემდეგ საქართველოსა და აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროების, სხვა დონორი საერთაშორისო ორგანიზაციების თანადგომით, მევენახე ისევ დაუბრუნდა ზვარს. ახლა ბადალი არ მოეძებნება ლაკლაკეთელი ნოდარ კეჟერაძის, ვერხვანელი ომარ აბუსერიძის, ნენიელი შოთა მიქელაძის, ზურაბ, მერაბ ქამადაძეების, ნიგაზეულელი შაქრო, ნუგზარ ხიმშიაშვილების, გურამ აბაშიძის, ტაკიძეებელი ნოდარ ქარცივაძის ვენახებს. მათი და სხვა მევენახეების სამსახურშია ახალდაბის ვაზის სანერგე, რომლის მოწყობის ინიციატორი ა(ა)იპ «აჭარის აგროსერვისცენტრია».

ვაზის ნაყური, კულინარიული ნაწარმი მოიტანეს ზეიმზე შუბნის, ოლადაურის, დღვანის, უჩამბის, დაბა შუახევის, ჭვანის, ზამლეთის, ბარათაულის და წყალსაყრის ადმინისტრაციული ერთეულების სოფლებიდან. საპატიო სტუმრებმა სახელდახელოდ მოწყობილ ფანჩატურებში ჩამოიარეს და შუახეველ ფერმერებს, კულინარებს ნაშრომ-ნახელავი შეუქეს. მერიის წარმომადგენლები ამ ადმინისტრაციულ ერთეულებში ვახტანგ ბოლქვაძე, გია, ჯუმბერ ფუტკარაძეები, ემზარ დავითაძე, გიორგი დავითაძე, ვახტანგ ნაკაშიძე, ჯუმბერ ქათამაძე, სულიკო ბოლქვაძე მოზეიმეებს სოფლის ნობათს სთავაზობდნენ და იმ წარმატებებზე ესაუბრებოდნენ, რაც ბოლო წლებში მოიპოვეს. ესაა სოფლების ცენტრების კეთილმოწყობა, გზების რეკონსტრუქცია, ახლის მშენებლობა, ასფალტ-ბეტონის საფარის დაგება, ტურისტული ლოკაციების მოწყობა ჩანჩხალოში, ჯვარიმინორზე, მთა მერიაყელში, პაპოშვილებში. რიგი სოფლების დაცარიელების საფრთხის მიუხედავად, შუახევს ისევ შემორჩნენ ხეზე კვეთის, ჭრა-კერვის, ქარგვის ოსტატები. მოსწავლე-ახალგაზრდობის ნორჩ ხელმარჯვეებთან ერთად მოზეიმეებს თავიანთ ნახელავს სთავაზობდნენ ჭვანელი, მარეთელი და ზამლეთელი ოსტატები.

სახალხო დღესასწაულის მთავარი დანიშნულება მთაში შემონახული ფოლკლორის გამომზეურებაა, ასე იყო ამჯერადაც. «შუახევობაზე» შუახევის კულტურის ცენტრთან არსებულმა უხუცესთა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა «ფესვებმა»», რომელიც მრავალი ჯილდოს, პრემიის ლაურეატია, ქორეოგრაფ ბადრი დარჩიძის ხელდასმით მუსიკალურ-ქორეოგრაფიული კომპოზიცია «ლაზარობა» წარმოადგინა, რომელმაც საყოველთაო მოწონება დაიმსახურა.

განახლებული რეპერტუარით წარსდგნენ მოზეიმეთა წინაშე კულტურის ცენტრთან და სახელოვნებო სკოლასთან არსებული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები «ზე კართან», «მარეთი», «ჭვანა», «შუახევი», «ოთოლთა». სცენა ინდივიდუალურ შემსრულებლებს, თბილისიდან მოწვეულ სიმფერის ოსტატებს სალომე ბაკურაძეს, ნოდიკო ტატიშვილს, ნუგზარ ერგემლიძეს და დუეტ «ჯორჯიას» და სხვებს დაეთმო.

### ვინ დაისაკუთრა ცხვარი?

სპორტი, ჯანსაღი ცხოვრების წესი საპატიო ადგილს იჭერს თითოეული შუახეველის ცხოვრებაში. ამის დასტურია აქ დაფრთიანებული სპორტსმენების მიღწევები რესპუბლიკურ და მსოფლიო სარბიელზე. ნიგაზეულელი მკლავჭიდელის გოგიტა ხიმშიაშვილის, აქაური მოჭადრაკეების მსგავსად, რესპუბლიკურ და საერთაშორისო ტურნირებზე წარმატებებს ქართული ჭიდაობის მიმდევრები აღწევენ. მარტო წელს გელა და გოგიტა ზოიძეების შეგირდებმა 15-ზე მეტ ასპარეზობაში მიიღეს მონაწილეობა და წარმატებითაც.

«შუახევობის» ორგანიზატორებმა ტრადიციას არც წელს უღალატეს და წარმატებული ფალავნისთვის მთავარ პრიზად ცხვარი დააწესეს. ასპარეზობაში 20-მდე ადგილობრივი ფალავანი ჩაერთო. ცხვარს ნიგაზეულელი სულხან აბაშიძე დაეუფლა. მან ფინალში თანასოფლელი გიორგი აბაშიძე დაამარცხა.

- საკმაოდ პრინციპული და მძიმე ორთაბრძოლები გადავიტანე, - გვითხრა სულხან აბაშიძემ, - ეს პრიზი ჩემთვის საპატიო და დაუვიწყარი იქნება.

### შეფასებები:

**თორნიკე რიჟვაძე:** - ერთი წლის წინ ყველამ ერთად მოვინდომეთ, რომ ხევს ჰქონოდა თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი სპორტული არენა. ეს უკვე რეალობად იქცა. დარწმუნებული ვარ, რომ ფეხბურთის მოედანი ხელს შეუწყობს სპორტსმენების მომზადებას. ჩვენი მთავარი ამოცანაა, ცხოვრების ჯანსაღი წესით ვიცხოვროთ. ასე შთამბეჭდავი გამოდგა «შუახევობის» დღესასწაული. იგი კულტურის და ხელოვნების, ადამიანების ერთმანეთზე მოფერების დემონსტრირება იყო.

**დავით მუჯირი:** ჩემთვის დიდი პატივია ახალი სპორტული არენის გახსნაში მონაწილეობა. იგი ჩვენი და ადგილობრივი ხელისუფლების ერთიანი ძალისხმევით გაკეთდა. ბათუმსა და აჭარის მუნიციპალიტეტებში ფეხბურთი აღორძინდა. მომავალში მრავალი სპორტული პაექრობის მონაწილენი ვიქნებით. აჭარის მთავრობა ჩვენი ყველაზე ახლო პარტნიორია. ყველას ვულოცავ ზეიმს და ახალი სტადიონის გახსნას.

**არჩილ ჩიქოვანი, ქალაქ ბათუმის მერი:** - აჭარის მთიანეთზე, აქ დავანებულ სახალხო დღესასწაულებზე შეყვარებული ვარ. მთაში შრომას არ ღალატობენ, ხელოვნებას ეფერებიან და ჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრობენ. «შუახევობა» ამის დამონსტრირება იყო. 17 წლამდე ასაკის ფეხბურთელებმაც საინტერესო მატჩი შემოგვთავაზეს.

**ლევან მჟავანაძე, ბიზნესმენი:** - 2022 წლის დასაწყისში «საპატიო შუახეველის» წოდება მივიღე. დღეს ეს წოდება კიდევ რვა დამსახურებულ ადამიანს ხვდა წილად. მათ - აღიარების, ხოლო თანარაიონელებს ერთმანეთზე მოფერების და მონატრების ზეიმს ვულოცავ.

# ბათუმის მერიის ინფორმაციით...

ბათუმში შტორმის შედეგად დაზიანებულ ბულვარში სალიკვიდაციო ღონისძიებები განხორციელდა. უსაფრთხოების მიზნით შემოისაზღვრა დაზიანებული მონაკვეთები და გატარდა შესაბამისი ღონისძიებები.

„ამ დროისათვის აქტიურად მიმდინარეობს სტიქიის შედეგად დაზიანებული მონაკვეთების აღდგენითი და დასუფთავების სამუშაოები.

შტორმისა და უხვნალექიანობის დროს სანაპირო ინფრასტრუქტურის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, ბულვარის მიმდებარედ ზღვის სანაპირო ზოლის ხელოვნური კვება განხორციელდება - პროექტის ფარგლებში, მდინარე ჭოროხის კალაპოტიდან ამოღებული ნატანით შავი ზღვის სანაპირო ზოლის ხელოვნური კვება მოხდება. სანაპიროზე შეტანილი იქნება 412 960 კბმ პლაჟწარმომქმნელი მასალა.



სტიქიის ადგილზე იმყოფებოდა ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრ ზაზა შავაძესთან ერთად“, - ნათქვამია ინფორმაციაში.

**ამირან გურიელიძე**

# გოგო, რომელიც არასდროს უშინდება გამოწვევებს

ნანა აბულაძე 577 20 35 90

*თამარ მელიქიშვილი არასდროს უშინდებოდა სიახლეებს, სკოლაში სწავლის პერიოდიდანვე ოცნებობდა ევროპაში ცხოვრებაზე, სურდა ყველა გამოწვევას დამოუკიდებლად შეჭიდებოდა, სჯეროდა, რომ განათლება იყო ის მთავარი ძალა, რომლითაც დაძლევდა ყველა ბარიერს და გაიმარჯვებდა. თინეიჯერობისას ჩოგბურთელი იყო, შემდეგ კალათბურთელი. 20 წელია პრაღაში ცხოვრობს და თვლის, რომ ბათუმის შემდეგ ის მისი მეორე მშობლიური ქალაქია. დღეს იგი ესთეტიკისა და პლასტიკური ქირურგიის დარგში ერთ-ერთი წარმატებული ქართული კომპანიის „აპტოსის“ ხელმძღვანელია ჩეხეთსა და სლოვაკეთში და არაერთ იმ ქართველ ახალგაზრდას თავის გამოცდილებას უზიარებს, ეხმარება, ვისაც განათლების მიღება ჩეხეთში სურს.*

**- მოგვიყევით სტუდენტობის პერიოდსა და შთაბეჭდილებებზე...**

- ჩემი სტუდენტობა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მასმედიის ფაკულტეტით დაიწყო, თუმცა, კურსი არ დავამთავრე და პრაღაში წამოვედი. ბაკალავრიატი ნიუ-იორკის უნივერსიტეტში ამავე სპეციალობით გავიარე, სამაგისტრო პროგრამა კი ანგლო-ამერიკულ უნივერსიტეტში დიპლომატიის განხრით დავამთავრე. პრაღა ჩემთვის სტუდენტურ ცხოვრებას უკავშირდება, არ მეგონა, სწავლა თუ ოდესმე ასე შემიყვარდებოდა და ლექციას არ გავაცდენდი. ორივე სასწავლებელი საკმაოდ პრესტიჟული და მულტიკულტურული იყო, შესაბამისად, ყველაზე ლამაზი წლები უცხოელ, უმეტესწილად, ბალკანელ თანაკურსელებთან ერთად გავატარე. ამასობაში შევისწავლე 4 სლავური ენა. სტუდენტობის პერიოდში მოვიარე მთელი ევროპა... მიუხედავად ამ ყველაფრისა, არც დიპლომატი და არც ჟურნალისტი ჩემგან არ შედგა... და მაინც, ყველა ჩემს კარგ და წარმატებულ დღეს ცხოვრებაში, სტუდენტობას ვუკავშირებ.



**- იყო ერთ-ერთი წარმატებული ქართული კომპანიის ხელმძღვანელი ორ ქვეყანაში, ნიშნავს...**

- პირველ რიგში, უდიდეს იღბალს, შემდგომ გამოწვევას. უკვე მეექვსე წელია, სრულიად შემთხვევით აღმოვჩნდი მსოფლიოში ყველაზე წარმატებული ქართული კომპანიის ხელმძღვანელად 2 ქვეყანაში - ჩეხეთსა და სლოვაკეთში. სულამანიძეების (ქართველი პლასტიკური ქირურგები) ოჯახის დახმარებით, ექიმივით შევისწავლე, რა არის პლასტიკური და ესთეტიკური მედიცინა. ეს იმას ნიშნავს, რომ 30 წლის ასაკში ჩემი პროფესიული განვითარება სულ სხვა გზით წავიდა და სხვა მწვერვალებზე ავიდა. არც კი ვნანობ, რომ თავიდან არჩეული პროფესიით ვერ მივაღწიე მიზნებს, რადგან სილამაზე და ესთეტიკა სულ იყო ჩემი სწავლის საგანი და გამიმართლა, რომ ამ ბიზნესში ვმუშაობ დღეს.

**- ნოსტალგია...**

- თავდაპირველად ისე მარტივად ვადაპტირდი და ჩავერთე ახალ საქმეში, რომ პირველი 4 წელი საქართველოში არც ჩამოვსულვარ. ახლა - პირიქით, ძალიან ხშირად ვარ სამშობლოში. ნოსტალგია უფრო შავი ზღვის სურნელზე და ბათუმის ბულვარზე მიტევს.

***„უკვე მეექვსე წელია, სრულიად შემთხვევით აღმოვჩნდი მსოფლიოში ყველაზე წარმატებული ქართული კომპანიის ხელმძღვანლად 2 ქვეყანაში - ჩეხეთსა და სლოვაკეთში. სულამანიძეების (ქართველი პლასტიკური ქირურგები) ოჯახის დახმარებით, ექიმივით შევისწავლე, რა არის პლასტიკური და ესთეტიკური მედიცინა***

**- რომელი ჟანრის მუსიკას ჰგავს თქვენი ცხოვრების რიტმი?**

- ალბათ უფრო მძიმე როკს, რომელიც მომენტებში ბეთჰოვენის „მთვარის სონატამდე“ მაღლდება.

**- ჩეხურ-ქართული ცენტრის დამფუძნებელი ხართ, ეხმარებით ქართველ ახალგაზრდებს, რომ მიიღონ ევროპული განათლება, მოგვიყევით ამაზე.**

- ზემოთ უკვე აღვნიშნე, როგორ მიყვარს ჩემი სტუდენტური წლები, რამდენად წინ წამწია ცხოვრებაში განათლებამ. ამიტომ იდეა დამებადა, მეტ ქართველ სტუდენტს გამოეცადა იგივე. შესაბამისად, დავარეგისტრირე კომპანია, შევქმენი ფეისბუქ ჯგუფი და უკვე 9 წელია ასობით სტუდენტს (იმედია გამომივიდა) ოცნებების ახდენაში დავეხმარე. დღეს ისინი სწავლობენ, ან სწავლობდნენ პრაღის სხვადასხვა უნივერსიტეტში. ბევრი მათგანი წარმატებული ადამიანია, რითაც ძალიან ვამაყობ.

**- მოგვიყევით თქვენს წილ ბათუმზე...**

- ბათუმი არის სიცოცხლე და სითბო... ყველაზე მეტად ამ ორთან ასოცირდება ის ჩემთვის. მსოფლიო მოვიარე, მაგრამ იმდენ სიყვარულსა და სითბოს მაინც ვერსად ვგრძნობ, რამდენსაც ბათუმში, მიუხედავად გამუდმებული წვიმისა და ნესტისა.

**- ყველაზე ხშირად თქვენს მანქანაში რომელი ქართული სიმღერა გაქვთ ჩართული?**

- ქალაქური სიმღერები მიყვარს, ამ ბოლოს კი ყველაზე ხშირად „იაგუნდი“ ისმის ჩემს მანქანაში.

**- როგორ საქართველოში ცხოვრებას ისურვებდით?**

- ყველაზე მეტად, მთელი გულით ვისურვებდი ევროპულად მშვიდ, მაღალი კულტურული და პატრიოტული ფასეულობებით განმსჭვალულ, განათლებულ საქართველოში.

**- ყველაზე მეტად...**

- ამ ეტაპზე ერთი ოცნება მაქვს, გავხდე დედა. ვთვლი, რომ დანარჩენი ყველაფერი ამიხდა.

სტუმარი

# 21-ე საუკუნის შვილი

ნანა აბულაძე 577 20 35 90

*დღეს, ძალიან ბევრი უნდა ვილაპარაკოთ ძლიერ ქალებზე, რომლებიც თავიანთი შემართებით, მისწრაფებით, პროფესიონალიზმით არიან სამაგალითოები, არასდროს ყრიან ფარ-ხმალს და ირგვლივ მყოფებსაც ბრძოლისუნარიანობისკენ მოუწოდებენ. გაზეთ „აჭარის“ სტუმარი სწორედ ასეთი გოგონა **სოფიკო აჟიბაა**, რომელიც საკუთარ ბიზნესს წლებია, წარმატებით ხელმძღვანელობს და არაერთი ადამიანი ჰყავს დასაქმებული. მინდა უფრო ახლოს გაიცნოთ, როგორც თავად ამბობს, „გიჟი გოგო“, რომელიც ვერასდროს შეეგუება ჩარჩოებს, რადგან არჩევანის თავისუფლება უპირველესი უფლებაა მისთვის. როგორც სოფიკოს დედა ამბობს, ძალიან 21-ე საუკუნელი გოგოა, რომლისთვისაც ყველა „არა“ ნიშნავს „კის“, არასდროს ნებდება და სულ წინ მიიწევს.*

**- ყველაფერი ბავშვობიდან იწყება...**

- მიუხედავად რთული 90-იანი წლებისა, ძალიან ლამაზი და ლაღი ბავშვობა მქონდა. მშობლები ხმამაღლა არასდროს საუბრობდნენ პრობლემებზე, ცდილობდნენ, ყველაფერი გაეკეთებინათ იმისათვის, რომ ბედნიერად გვეგრძნო თავი. ძირითადად, ბებიასთან და ბაბუასთან ვიზრდებოდი. ალბათ ყველას გამოუცდია საყვარელ მოხუცებთან ცხოვრების სიამე. ზაფხული ჩვენთვის ზღვა და „ბირჟა“ იყო, მეტი არაფერი. დღევანდელი ბავშვებისგან განსხვავებით, მაშინ სულ სხვა თამაშებით ვერთობოდით, რადგან ინტერნეტი არ გვქონდა. მართლა სხვა ურთიერთობები იყო მაშინ, უკვე დიდებიც რომ ვიყავით, მაინც წრეში ბურთს, დაჭერობანას და ათას გამოგონილ თამაშს ვთამაშობდით. დღეს დისტანციურმა ურთიერთობებმა ჩაანაცვლა ნამდვილი, რაც ძალიან მიჭირს. მიყვარს ადამიანები, მათზე ჩახუტება, ემოციების გაზიარება, რითაც ვიკრებ ძალებს, ვივსები და ენერგიული ვხდები.

**- ურთიერთობა, რომელიც ყველაზე დიდ კომფორტს გიქმნით...**

- პროფესიით მთარგმნელ-რეფერენტი ვარ, უცხო ენის სპეციალისტი. სხვადასხვა სასწავლებელში წლები ვასწავლიდი ინგლისურ ენას, უმაღლეს სასწავლებლებშიც ვკითხულობდი ლექციებს, თუმცა ბოლო წლებში, ძირითადად, სკოლაში ვასწავლიდი. ბავშვები ჩემთვის სულ სხვა ფენომენია, ისინი ანგელოზები არიან. სწორედ მათთან ურთიერთობაა ყველაზე დიდი ბედნიერება და კომფორტი ჩემთვის. სუფთა და გულწრფელი მეგობრობა იციან. დღესაც ვცდილობ, ასაკით ჩემზე ბევრად პატარებთან ვიმეგობრო. იმდენად კომფორტულად ვგრძნობ თავს ამ ადამიანებთან, რომ ვერ ალგიწერთ. ჩვენ ერთმანეთს ვუცვლით გამოცდილებებს, აზრებს ვუზიარებთ. თავს მართლაც, მათ ასაკში ვგრძნობ, ამიტომაც შინაგანად სულ 25 წლის გოგო მგონია თავი.



**- საკუთარი სახელობის სილამაზის სალონი გაქვთ - „სოფიე“, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს. როგორ დაიწყო ყველაფერი?**

- ალბათ გოგოების უმრავლესობა ოცნებობს, ჰქონდეს სილამაზის სალონი, ან ისეთი რამ, რითაც კომფორტს შეუქმნის საკუთარ თავს, თუმცა მე არასოდეს მიოცნებია სილამაზის სალონზე, რადგან ეს არასდროს ყოფილა ჩემი ინტერესის სფერო. მე ვარ გოგო, რომელსაც უყვარს ექსტრიმი, აზარტი. აი, მაგალითად, უფრო მეტად მიოცნებია, მყოლოდა ფეხბურთის გუნდი, ვიდრე სილამაზის სალონის მეპატრონე გავმხდარიყავი. არასოდეს დავდიოდი სალონებში და არც დღეს არის ეს ყველაფერი კომფორტის ზონა ჩემთვის. მართალი გითხრათ, სპონტანურად წამოვიდა იდეა, რაღაც უნდა გამეკეთებინა აუცილებლად და ვფიქრობდი, რომ ეს პირველ რიგში, უნდა ყოფილიყო ქალბატონებისთვის, თან სილამაზის სალონი ადვილ საქმედ წარმომედგინა. თურმე არათუ ადვილი, ურთულესია. სპეციფიკური სფეროა, ბევრი დეტალი და ნიუანსია გასათვალისწინებელი. რვა წელია ვარსებობთ ბაზარზე და ამ დროის განმავლობაში ძალიან ბევრ წარმატებას მივაღწიეთ. ჩემთვის ბიზნესი აზარტული თამაშივითაა. ისე შევდივარ აზარტში და ამ ყველაფრით იმხელა ადრენალინს ვგრძნობ, უკან ველარ ვიხევ.

***„არ მიყვარს ჩარჩოები და თუ ცდილობენ, დამიწესონ, აუცილებლად ვარღვევ. ჩემი ოჯახის წევრები ყველაზე დიდი მოტივატორები არიან ჩემთვის. დედაჩემი მეუბნება ხოლმე, შენთვის „არა“ არ არსებობსო და მართალიცაა. „არას“ რომ მეუბნებიან, ჩემთვის ის არის „კი“. ბევრჯერ დავეცი, მაგრამ საკუთარი თავი გავაძლიერე, ვუთხარი, რომ არ მაქვს უკან დახევის უფლება, რომ ყოველ მარცხში უნდა ვეძებო გაკვეთილები და უფრო მეტი შემართებით გავაგრძელო გზა***

**- მეამბოხე, ძლიერი ქალი ხართ?**

- კი, ყოველთვის ასეთი ვიყავი, არ მიყვარს ჩარჩოები და თუ ცდილობენ, დამიწესონ, აუცილებლად ვარღვევ. ჩემი ოჯახის წევრები ყველაზე დიდი მოტივატორები არიან ჩემთვის. დედაჩემი მეუბნება ხოლმე, შენთვის „არა“ არ არსებობსო და მართალიცაა. „არას“ რომ მეუბნებიან, ჩემთვის ის არის „კი“. ბევრჯერ დავეცი, მაგრამ საკუთარი თავი გავაძლიერე, ვუთხარი, რომ არ მაქვს უკან დახევის უფლება, რომ ყოველ მარცხში უნდა ვეძებო გაკვეთილები და უფრო მეტი შემართებით გავაგრძელო გზა.

**- რა არის ის, რაზეც ყველაზე ხშირად გიოცნებიათ?**

- ცოტა უცნაურად ჟღერს, მაგრამ ბავშვობაში ვოცნებობდი, წავსულიყავი ჯარში, მეთამაშა ფეხბურთი. ალბათ ამ თაობის ადამიანი რომ ვყოფილიყავი, აუცილებლად ვიქნებოდი ქალი ფეხბურთელი. მიყვარს ექსპერიმენტები, მინდა ცხოვრების ყველა გამოწვევას ჩემეული ენერგიით ვუპასუხო და რაც უნდა რთული იყოს ის, გარდავქმნა პოზიტივად.

**- სიტყვები, რომლებიც სარკეში ყველაზე ხშირად გითქვამთ საკუთარი თავისთვის...**

- ყოველ დილით, რა ხასიათზეც უნდა ვიღვიძებდე, ვდგები სარკის წინ და ვეუბნები საკუთარ თავს, - სოფიკო, შენ ხარ ძალიან ლამაზი, ძალიან ძლიერი და ძალიან მიყვარხარ. საკუთარი თავის რწმენა თუ არ გაქვს ადამიანს, ვერც სხვას იწამებ, ვერ დაიჯერებ სამყაროს მრავალფეროვნებას. რაც უნდა მიჭირდეს, ვცდილობ, ჩემი პრობლემები არასდროს მოვახვიო სხვას. გავუღიმოთ და ჩავეხუტოთ ერთმანეთს, ღიმილი გადამდებია როგორც სიკეთე, სიყვარული და სითბო.

**- როგორია სილამაზის თქვენეული აღქმა?**

- თუ შინაგანი სამყარო ლამაზი არ გაქვს, რაც უნდა ლამაზი იყო ვიზუალურად, გაიკეთო ტუჩი, თვალი, მკერდი, ჩემი აზრით, ლამაზი მაინც ვერასოდეს იქნები. ჩემს 17 წლის შვილს ხშირად ვეუბნები, რომ ქალში უპირველესად, დაინახოს და დააფასოს შინაგანი სამყარო, არ მიანიჭოს პრიორიტეტი მხოლოდ გარეგნულ სილამაზეს, რადგან შინაგანად ძლიერ და ლამაზ ქალთან ცხოვრება არასდროს არის მოსაწყენი.

**- ერთი სიტყვით როგორ დაახასიათებდით საკუთარ თავს?**

- გიჟი. სოფიკოს ყველა იცნობს როგორც გიჟ ადამიანს, რომელიც ჩაიდენს ყველანაირ სიგიჟეს. დედაჩემი ხშირად მეუბნება, შენ ზედმეტად 21-ეს საუკუნელი გოგო ხარო, გოგო, რომელიც დღეს ცდილობს აკეთოს ის, რაც ბედნიერებას ანიჭებს, რადგან არავინ ვიცით, რა იქნება ხვალ. აუცილებლად უნდა ვიყოთ ძლიერები, გოგოებო, არავის მივცეთ უფლება, ხმა აიმაღლოს ჩვენზე!

# მარტო ხიჭაურის სასწავლო უნივერსიტეტიც საკმარისი იქნებოდა...

***სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე ინტრონიზაციის პირველი დღეებიდანვე აჭარას, აქ მცხოვრებ ადამიანებს გამორჩეულ ყურადღებას აქცევს***

მისი ლოცვა-კურთხევით 2006 წლის დეკემბერში სხალთის ეპარქია დაფუძნდა და მღვდელმთავრად მცხეთის საკათედრო ტაძარში მეუფე სპირიდონი აკურთხეს. ქვეყნის ისტორიაში მრავალი თარიღია, რომელიც გამორჩეულ ადგილს იჭერს კუთხის, იქ მცხოვრები ადამიანების ისტორიაში. საზოგადოება ასეთ თარიღთა შორის 2008 წლის 9 სექტემბერსაც მოიხსენიებს. ამ დღეს ხიჭაურის დასახლებაში, ყოფილი რუსული სასაზღვრო ნაწილის ბაზაზე, საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის სასწავლო უნივერსიტეტმა დაარსება იზეიმა. რომ არა პატრიარქის ლოცვა-კურთხევა, სხალთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსის, მეუფე სპირიდონის მამულიშვილური თავდადება, მრავალთა მსგავსად, ეს უმშვენიერესი ტერიტორია, რომელსაც 12,3 ჰექტარი ფართობი ეკავა, სხვა დანიშნულების ობიექტად ან სხვა ტერიტორიების მსგავსად, განადგურებულ-გაპარტახებული იქნებოდა.

უწმინდესისა და უნეტარესის, სხალთელი მთავარეპისკოპოსის ლოცვაკურთხევით, ქველმოქმედი ადამიანების, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მხარდაჭერით, ხიჭაურის დასახლების ისტორიაში ახალი ეპოქა დაიწყო. საპატრიარქოს დაქვემდებარებაში გადასულ 7,1 ჰექტარ ტერიტორიას მზრუნველი ხელი მალე დაეტყო. უნივერსიტეტს საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმინდა გრიგოლ ხანძთელის სკოლაც შეემატა. ბათუმიდან, ქვეყნის სხვადასხვა რაიონიდან ჩამოსული უფროსკლასელები სიმწიფის ატესტატს ამ საგანმანათლებლო კერაში იღებდნენ. იყო წლები, როცა დამამთავრებელ კლასში 350-400 მოსწავლე ირიცხებოდა. ისინი ერთიან ეროვნულ გამოცდებს წარმატებით აბარებდნენ და ქვეყნის წამყვანი უმაღლესი სასწავლებლის, მათ შორის, ხიჭაურის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტები ხდებოდნენ.

არსებობის განმავლობაში ხიჭაურის უნივერსიტეტმა 2000-ზე მეტ სტუდენტს გადასცა დიპლომები. ისინი ახლა ეროვნული მეურნეობის ცალკეულ სფეროებში საქმიანობენ. ახლაც აქ 1200-ზე მეტი სტუდენტი ეუფლება ცოდნას.

ქვეყნის სხვა კუთხეების მსგავსად, აჭარის მთიანეთშიც შენდება ეკლესიები, მრევლი მატულობს. სხალთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსად მეუფე სპირიდონი რომ გამოარჩიეს, სხალთის ტაძარი და მისი შემოგარენი მოუწესრიგებელი იყო. ერთ დროს მიყრუებულ-მიტოვებული ტერიტორია მართლმადიდებელი მრევლისთვის



სათაყვანებელ ადგილად იქცა. ტაძარს მონგრეული ნაწილები მიუშენდა, მის სიახლოვეს იოანე ნათლისმცემლის სახელობის სამლოცველო აიგო, ტერიტორიას გალავანი შემოევლო, რესტავრაცია-კონსერვაცია ჩაუტარდა სხალთის მარანს, სარესტავრაციო სამუშაოები დაიწყო კალოთის ეკლესიაზე, მალე კი ვერნების ნაეკლესიარზეც დაიწყება.

2013 წლის ივლისში, უწმინდესისა და უნეტარესის ხელდასმით, ახლად გახსნილ ხულოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსში 1300-ზე მეტი ადამიანი ეზიარა მართლმადიდებლობას, მათ შორის ორი - მეზობელი თურქეთის რესპუბლიკის მკვიდრი იყო. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ყოველი მესამე და მომდევნო ახალშობილის ნათლია უწმინდესია. ეს პატივი სხალთის ეპარქიიდან 50-ზე მეტ მესამე და მომდევნო ახალშობილს ერგო.

უწმინდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით, ბათუმი-სხალთის ეპარქიაში, დაბა ქედის, დაბა ხულოს ცენტრებში, ზვარეში, გამონათლევში, ხიჭაურის დასახლებაში, ზესოფელში ტაძრები აშენდა. ხარაჩოები ჩამოხსნეს ტაძარს დაბა შუახევში. დაბა ქედაში მშენებარე ტაძრის საძირკველში დუღაბი ჩაასხეს, მალე დაბა ქედის შემოგარენში წმინდა ევდემოზ დიასამიძის სახელობის ტაძარი მოუხმობს მრევლს. ტაძრის მშენებლობა იგეგმება სოფელ ფურტიოში, ელვაურის უბანში. განახლდება სოფელ ჭალაში ტაძრის მშენებლობა, სამლოცველოს აგებას აპირებენ აჭარა-გურიის ქედზე, ჯვარიმინდორის ტერიტორიაზე. დაბა ხულოს ცენტრში წმინდა აბუსერისძე ტბელის სახელობის სკოლაც მოქმედებს. ხულოს საპატრიარქოს ეგიდით ბაგა-ბაღიცაა გახსნილი. ეს ყველაფერი კარგია, თუმცა ხიჭაურის სასწავლო უნივერსიტეტიც საკმარისი იქნებოდა იმ ღვაწლის წარმოსაჩენად, რაც უწმინდესსა და უნეტარეს მიუძღვის ამ კუთხის მიმართ. სწორედ უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში შედგა ილია მეორის ინტრონიზაციის 45 და დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო შეკრება, რომელსაც უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები, სხალთის ეპარქიაში შემავალი სკოლების დირექტორები, თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოების, ქვეყნისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოების ხელმძღვანელები და წევრები ესწრებოდნენ.

უწმინდესისა და უნეტარესის ცხოვრების გზაზე, მის ღვაწლზე ერისა და ქვეყნის წინაშე სხალთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსმა მეუფე სპირიდონმა ისაუბრა. შეკრებილთ სიტყვით მიმართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძემ, პარლამენტარმა ანზორ ბოლქვაძემ, აჭარის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარმა დეპუტატმა ფრიდონ ფუტკარაძემ, შუახევის, ხულოს, ქედის მუნიციპალიტეტების მერებმა ომარ ტაკიძემ, ვახტანგ ბერიძემ, როლანდ ბერიძემ, შუახევის, ქედის, ხულოს რესურსცენტრების უფროსებმა ედუარდ გოგრაჭაძემ, დურმიშხან შავიშვილმა, ედუარდ მიქელაძემ, «ფაზისის» აკადემიის პრეზიდენტმა გია კვაშილავამ, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა აბუსერისძე ტბელის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორებმა ტარიელ ებრალიძემ, ბესიკ ბაუჩაძემ, ავთანდილ დიასამიძემ, რაჟდენ ფუტკარაძემ, იაშა თანდილავამ, მზია შავაძემ, ელზა ფუტკარაძემ, ნინო შუშანიძემ, ნაილა ჩელებაძემ, ნაილე მიქელაძემ.

ქედის, შუახევის, ხულოს კულტურის ცენტრებთან, ხიჭაურის სკოლასთან, ხულოს სახელოვნებო სკოლასთან არსებულმა ფოლკლორულმა და ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა «ოთოლთა», «ელესა», «არგინეთი», «ზე-კართან», «ფესვები», «ბერმუხა», «იასამანი», «ხულო», «შუახევი», «მარეთი», «ციცინათელა» კონცერტი გამართეს.

შეკრებაზე შეთანხმდნენ, რომ ყოველი წლის ნოემბრის ბოლო შაბათს, ხიჭაურში შეიკრიბებიან და უწმინდესის ინტრონიზაციისა და დაბადების თარიღებს საზეიმოდ აღნიშნავენ.

**დავით გაბაიძე**: - ხიჭაური ქვეყნის მასშტაბით ღირსეული საგანმანათლებლო კერად იქცა, რაც პატრიარქისა და სხალთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსის მეუფე სპირიდონის დამსახურებაა. ამჯერად ფრიად საინტერესო და შინაარსიანი შეკრება იყო. ხიჭაურის უნივერსიტეტის როლი ერისა და ქვეყნის ისტორიაში, კიდევ უფრო მეტად დაფასდება.

**გია კვაშილავა:** - როგორც უწმინდესი და უნეტარესი ამბობს, ჩვენი ქრისტიანობის აკვანი აჭარაში დაირწა, აქ ქართული გენის, ქართული სულის ზეობა ვნახე. სასიხარულოა, რომ მეუფე სპირიდონი ამ კუთხეში გადარჩენილი ქართულისა და დაბრუნებული მრწამსის ერთგული მწყემსია. უნივერსიტეტმა არსებობის წლებში დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭა და მწამს, რომ ერთხელ არჩეულ გზას არ გადაუხვევს.

**ანზორ ბოლქვაძე:** - ახალბედა მშენებელს უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ, ცნობილმა მეცენატმა თეიმურაზ კომახიძემ, ქველმოქმედმა ზვიად ცეცხლაძემ პატივი დამდეს და დაბა ხულოში ტაძრის მშენებლობა ჩამაბარეს. მაშინ 23 წლის ვიყავი. იქიდან მოყოლებული, ჩვენი ურთიერთობები გრძელდება, პატრიარქი ტაძრის გახსნაზე ხულოში გვესტუმრა. მახსენდება მისი ჩამობრძანება სხალთაში 1989 წლის 29 მაისს, სტიქიის შედეგად დაღუპულთა პატივსაცემად. იმ დღეს სხალთის ტაძარში საყოველთაო ნათლობა ჩაატარა და საუკუნეების განმავლობაში დადუმებული ტაძარიც ამოქმედდა. უწმინდესის ღვაწლი ჩვენი კუთხის მიმართ აუწონელია.

**ელზა ფუტკარაძე:** - წლების წინ, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებს პატივი გვქონდა, პატრიარქს ხიჭაურში შევხვედროდით. დღევანდელ შეკრებაზე, რომელიც მე და ნაილა ჩელებაძეს მიგვყავდა, ამ ღვთისნიერი, უკეთილშობილესი ადამიანის ცხოვრების გზა კიდევ ერთხელ გავიხსენეთ. პატრიარქმა ეს გზა ქვეყნისა და ერის კეთილ მომავალზე ზრუნვაში გალია.

# იუნესკოს აღიარების პასუხად

***ქართული ჭიდაობა მსოფლიომ აღიარა - იუნესკომ იგი მსოფლიო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეიტანა. ამ დღისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი გაიმართა ხელვაჩაურის კომპლექსური სკოლის დარბაზში***

მასში თბილისის, ქუთაისის, ხაშურის, ცაგერის, ჭიათურის, ბათუმის, კახეთის რეგიონის, ოზურგეთის, კასპის, ზესტაფონის, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის, ხულოს ქართული ჭიდაობის სკოლების აღსაზრდელები (2006-2007წწ) მონაწილეობდნენ.

ორთაბრძოლებში 80-ზე მეტი ჭაბუკი ჩაერთო. სპორტსმენები, მათ მწვრთნელებს, გულშემატკივრებს მიესალმნენ აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი ჯემალ წულუკიძე, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ბადრი ნაკაშიძე, საქართველოს ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი გელა ბერუაშვილი. იგი ტურნირზე სამხრეთ კორეიდან ჩამოვიდა, სადაც მონაწილეობდა მსოფლიო საბრძოლო ხელოვნების ფესტივალში. მას დიდი პატივი დადეს - აირჩიეს მსოფლიო საბრძოლო ხელოვნების კავშირის პირველ ვიცე-პრეზიდენტად. ეს აღიარება გელა ბერუაშვილს პირველად აჭარაში მიულოცეს და ქართული ჭიდაობის განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისთვის აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციის სახელით ჯემალ წულუკიძემ მადლობის სიგელი გადასცა. სიგელები გადაეცათ ხელვაჩაურის კომპლექსური სასპორტო სკოლის დირექტორ ფარნავაზ თედორაძესა და ამავე მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორ ნატო შერვაშიძეს. სიტყვით გამოვიდა ტურნირის მთავარი მსაჯი, ღირსების ორდენოსანი გიორგი ბიწკინაშვილი.

ტურნირის საზეიმო გახსნის ცერემონია ხელვაჩაურის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის ფოლკლორულმა და ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა დაამშვენა.

55-კილოგრამიან წონით კატეგორიაში პირველ ადგილზე ზესტაფონელი გოგა გოგალაძე გავიდა, მეორე ადგილი ქუთაისელ საბა ცინაძეს ერგო, მესამე წყალტუბოელ ლუკა ომანაძეს. ტურნირის პირველ დღეს გამარჯვებულები გამოვლინდნენ 66 და 81-კილოგრამიან წონით კატეგორიებში. 66-კილოგრამიან წონით კატეგორიაში უძლიერესები წყალტუბოელი მათე გველესიანი, ქუთაისელი ნიკოლოზ ხურციძე და ხაშურელი მიხეილ გაფრინდაშვილი იყვნენ. საპრიზო ადგილებიც, შესაბამისად, მათ გაიყვეს.

81-კილოგრამიან წონით კატეგორიაში ადგილები ასე გადანაწილდა - ლექსო ფოცხვერაშვილი (კახეთი) პირველი ადგილი, ლუკა შვანგირაძე (წყალტუბო) - მეორე ადგილი, დავით ნონიკაშვილი (კასპი) - მესამე ადგილი.

ტურნირის მესამე დღე საინტერესო საბრძოლო პაექრობებით იყო გამორჩეული. 60, 73 და აბსოლუტურ წონაში გამარჯვებულ მოჭიდავეებს, ქართული ჭიდაობის ქომაგმა, ქართულ ჭიდაობაში ახლახან გამართული მსოფლიო პირველობის დამფინანსებელმა გიორგი შიუკაშვილმა 100-100 ლარის ფულადი ჯილდოები გადასცა. 60-კილოგრამიან წონით კატეგორიაში გამარჯვება კახეთის რეგიონის წარმომადგენლებს გიორგი ჯავახიშვილს, ვიტო ჯაფარიძესა და ხაშურელ გიორგი გოგალაძეს ერგოთ. მათ ფულად ჯილდოსთან ერთად, შესაბამისად, 200, 180 და 150 ლარის ვაუჩერები გადაეცათ.

73-კილოგრამიან წონით კატეგორიაში პირველი ადგილი თბილისელ მოსე შამანაურს ერგო, მეორე ადგილზე ხაშურელი გიორგი ქიტიაშვილი გავიდა, მესამეზე - ქედელი ზურაბ მამულაძე.

აბსოლუტურ (81 კილოგრამის ზევით) წონით კატეგორიაში პირველი, მეორე და მესამე ადგილები კახელმა დავით ხარაზიშვილმა, ქუთაისელმა ნიკა გაბრიჩიძემ, ხაშურელმა დავით



ხიდაშელმა გადაინაწილეს.

საპრიზო ადგილებზე გასულ მოჭიდავეებს ფულად ჯილდოსა და ვაუჩერებთან ერთად, საპატიო სიგელები, მედლები და თასები ტურნირის ორგანიზატორებმა, ღირსეულმა ადამიანებმა, ქართული ჭიდაობის ქომაგებმა გადასცეს.

ხელვაჩაურის ტურნირი ასე შეაფასეს:

**გელა ბერუაშვილი:** - მონაწილეთა ასეთი რაოდენობა ამ სახის ტურნირზე პირველად ვიხილეთ. ეს განაპირობა ქართულ ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარებამ. ასეთი ტურნირები ახალბედა მოჭიდავეებს გამოცდილებას აძლევს. ეროვნულმა და აჭარის ფედერაციებმა ერთობლივი გადაწყვეტილების საფუძველზე ვაუჩერებიც დავაწესეთ. მათ სამ წონით კატეგორიაში ქართული ჭიდაობის დიდი ქომაგისა და მხარდამჭერის გიორგი შიუკაშვილის ფულადი ჯილდოც შეემატა. ეს სპორტსმენების წახალისების მიზნით კეთდება. მეტი მოტივაციაა საჭირო, რათა ჯანსაღი თაობა აღვზარდოთ.

**ჯემალ წულუკიძე:** - იუნესკოს მიერ ქართული ჭიდაობის აღიარების დღისადმი მიძღვნილი ტურნირი ჩვენმა ფედერაციამ მესამედ ჩაატარა. ტურნირამდე ქართული ჭიდაობის ისტორიაში პირველად გაიმართა მსოფლიო პირველობა, რომელშიც 33 ქვეყანა მონაწილეობდა. 6 წონით კატეგორიაში საპრიზო ადგილებზე გასული მოჭიდავეები წახალისდნენ, რაც მომავალში სხვებისთვის სტიმულის მიმცემი იქნება. ტურნირზე საკმაოდ ტიტულოვანი მოჭიდავეებიც ჩამოვიდნენ ქვეყნის ქალაქებიდან, რეგიონებიდან და ხელმოცარულიც არ დარჩნენ.

**გიორგი შიუკაშვილი:** - ქართული ჭიდაობისადმი თანადგომა ქვეყნისა და ერის წინაშე მოვალეობად მიმაჩნია. ასოციაცია «წინაპარი», რომელსაც ჩვენ ვხელმძღვანელობთ, ამ თანადგომას მომავალშიც გააგრძელებს. მირჩევნია, ცოტა ვთქვათ და მეტი საქმე ვაკეთოთ.

**გვერდი მოამზადა ოთარ ცინარიძემ**

# ამბები ბათუმის სპორტის სასახლიდან

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

***დასრულდა ბათუმის სპორტის სასახლის შიდა პირველობა კონტაქტურ კარატეში, რომელზეც წარმატებით იასპარეზეს სასახლის სპორტსმენებმა***

სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში პირველ ადგილზე გავიდნენ: დათუნა ჯინჭარაძე, დავით ნოლაიდელი, გიორგი თვალავაძე, ლევან აბაშიძე, ზურაბ გოგუაძე, სანდრო შარაძე, ანამარია მსხალაძე, გიორგი გვიანიძე, დიმიტრი მსხალაძე.

გამარჯვებული და პრიზიორი სპორტსმენები მედლებითა და სიგელებით დაჯილდოვდნენ.

თბილისის სპორტკომპლექს „არენა 2“-ში რაპირით ფარიკაობაში მიმდინარე „ბასას თასის“ გათამაშების მეორე დღე U-17 ასაკის მოფარიკავეებს დაეთმო, სადაც ჩემპიონის ტიტულს ბათუმის სასახლის სპორტსმენი ანანო ჯინჭარაძე დაეუფლა. ვულოცავთ სპორტსმენსა და მის მწვრთნელ თინათინ ბოლქვაძეს ამ გამარჯვებას და წინსვლას ვუსურვებთ მათ!

ბათუმის სპორტის სასახლეში სარქის სარხაიანის სახელობის საერთაშორისო ტურნირი გაიმართა მაგიდის ჩოგბურთში. გამარჯვებულები და საპრიზო ადგილებზე გასული სპორტსმენები დაჯილდოვდნენ სიგელებით, მედლებითა და თასებით.




27 ნოემბერს ბათუმის მე-17 საჯარო სკოლამ უმასპინძლა პარაფესტივალს „ბათუმი 2022“, რომელიც მოიცავდა სპორტის ექვს სხვადასხვა სახეობას. პარაფესტივალის ფარგლებში საქართველოს მუნიციპალიტეტების პარასპორტსმენები ერთმანეთს შეეჯიბრნენ სპორტის შემდეგ სახეობებში: დარტსი, ნარდი, მკლავჭიდი, სმენადაქვეითებულთა ფეხბურთი, ამპუტანტთა ფეხბურთი, შაში.

ფესტივალს ესწრებოდნენ აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ბადრი ნაკაშიძე, სპორტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე მინდია ქათამაძე, ამავე დეპარტამენტის განყოფილების უფროსი ზურაბ ჭყონია, რომლებმაც ფესტივალში მონაწილე ყველა სპორტსმენი დააჯილდოვეს თასებით, მედლებით, სიგელებით, ფულადი ჯილდოებითა და ვაუჩერებით.

* * *

ზურაბ კინწურაშვილი საფრანგეთის ღია ჩემპიონატის (French open - G2 კატეგორიის ტურნირი) გამარჯვებულია. პარიზში, ტაეკვონდოში გამართულ G2 კატეგორიის ტურნირზე მან ყველა ბრძოლა დამაჯერებლად მოიგო და ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა.

ვულოცავთ ჩემპიონსა და მის მწვრთნელ თემურ ღლონტს გამარჯვებას და ახალ წარმატებებს ვუსურვებთ!





## უკრაინა

რუსეთის თავდასხმები უკრაინის ენერგეტიკულ ინფრასტრუქტურაზე გენოციდს უტოლდება, - ამის შესახებ უკრაინის გენერალურმა პროკურორმა ანდრეი კოსტინმა BBC-თან ინტერვიუში განაცხადა. მისი თქმით, მთავარ ობიექტებზე თავდასხმების სამიზნე მთელი უკრაინელი ერია და არის მცდელობა, კიევი აიძულონ, დანებდეს. ანდრეი კოსტინის ინფორმაციით, ენერგეტიკულ ქსელზე თავდასხმების გარდა, 11 000 უკრაინელი ბავშვი იძულებით იქნა დეპორტირებული რუსეთში. მისი უწყება იძიებს 49 000-ზე მეტ ომისა და აგრესიის დანაშაულს მას შემდეგ, რაც რუსეთმა 24 თებერვალს სრულმასშტაბიანი შეჭრა დაიწყო. მისი თქმით, ომის დანაშაულებთან დაკავშირებით ბრალი 260 ადამიანს წაუყენეს და განაჩენი 13-ს გამოუტანეს. უკრაინის გენერალური პროკურორი გამოდის ინიციატივით, შეიქმნას სპეციალური საერთაშორისო ტრიბუნალი, რომელსაც მხარს დაუჭერენ მთელი ცივილიზებული სამყაროს ქვეყნები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან რუსეთის უკრაინაში შეჭრას და სურთ, მან პასუხი აგოს.

* * *

უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის მრჩეველი მიხაილო პოდოლიაკი „ტვიტერზე“ წერს, რომ „ომის დამნაშავეების დასჯა, ტერორისტების მხარდამჭერის შემცირება მსოფლიოში, საერთაშორისო სამართლის აღდგენა, ტერიტორიების იძულებით წართმევის შეუძლებლობა, აგრესორის ეკონომიკური განადგურება, ნებისმიერი შანტაჟის შეწყვეტა შესაძლებელია, თუ რუსეთის ფედერაცია წააგებს. ამას უკრაინა მხარს უჭერს. ვინ არის წინააღმდეგი?“.

* * *

რუსეთის საოკუპაციო ჯარებმა ხერსონის ოლქის ქალაქ ნოვაია-კახოვკადან ყველა კოლაბორანტის ევაკუაცია განახორციელეს, - ინფორმაციას უკრაინული მედია ეროვნული წინააღმდეგობის ცენტრზე დაყრდნობით ავრცელებს. ამ ინფორმაციით, ქალაქი ყველა აქტიურმა კოლაბორანტმა დატოვა. საუბარია არა მხოლოდ მათზე, ვინც თანამდებობებს იკავებდა საოკუპაციო ადმინისტრაციაში, არამედ მათზეც, ვინც რუსებთან ერთად მონაწილეობდა ადგილობრივი მოსახლეობის დარბევაში, ასევე აშინებდა და აიძულებდა მათთან თანამშრომლობას. „ყველა აქტიურმა მოღალატემ დატოვა ქალაქი, რადგან თვლიდა, რომ მისი გათავისუფლება დროის საკითხია“, - აცხადებენ ეროვნული წინააღმდეგობის ცენტრში, რომელიც მოუწოდებს ადგილობრივ მოსახლეობას, დატოვონ ქალაქი უკრაინის შეიარაღებული ძალების მიერ მის დეოკუპაციამდე.

* * *

რუსეთის სარდლობამ ძალისხმევა უკრაინის თავდაცვის ძალების ქვედანაყოფების მოქმედებების შეკავებაზე მიმართა, - ამის შესახებ უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ანგარიშშია აღნიშნული. მათივე ცნობით, რუსეთი ბელარუსიდან უკრაინაში ცალკეული ქვედანაყოფების გადასროლას გეგმავს. „გრძელდება მტრის პირადი შემადგენლობისა და სამხედრო ტექნიკის გადაადგილება იმ დანაყოფების დასაკომპლექტებლად, რომლებმაც დანაკარგები განიცადეს. მოსალოდნელია ბელარუსის რესპუბლიკის ტერიტორიიდან მოწინააღმდეგის ცალკეული შენაერთების გადასროლა მას შემდეგ, რაც ისინი საბრძოლო საშუალებს შეიძენენ“, - ნათქვამია ანგარიშში.

* * *

„ჩვენს ინტერესებშია, რომ უკრაინამ გაიმარჯვოს“, - სტოლტენბერგმა ეს მნიშვნელოვანი განცხადება უკრაინაში მიმდინარე ომთან დაკავშირებით გააკეთა. „თუ პუტინი ომს მოიგებს, ის და სხვა დესპოტები გააგრძელებენ ძალადობას თავიანთი მიზნების მისაღწევად. ეს შეიძლება ნიშნავდეს მეტ ომს და მეტ ტანჯვას, რაც ჩვენს სამყაროს კიდევ უფრო სახიფათოს გახდის“, - განაცხადა სტოლტენბერგმა

* * *

გაერთიანებული სამეფოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბორის ჯონსონმა უკრაინის სამედიცინო დაწესებულებებისთვის გასაგზავნი პროდუქციით ტრანსპორტის დატვირთვაში პირადად მიიღო მონაწილეობა. ბორის ჯონსონი „ტვიტერზე“ წერს: „უკრაინის საავადმყოფოებს ჩვენი მხარდაჭერა სჭირდებათ. მშვენიერი იყო სტუმრობა Circle Health Group-ში, რომელმაც უკრაინაში სამედიცინო ნაკრებებით დატვირთული 12 სატვირთო ავტომობილი და ხერსონისთვის განკუთვნილი საწოლებითა და საანესთეზიო აპარატებით დატვირთული ერთი სატვირთო მანქანა გააგზავნა“.

**მოამზადა**
**ნაირა ფუტკარაძემ**

# გაეროს სააგენტოთა ჯგუფი იმედოვნებს...

თამბაქოს ნაწარმის სადა შეფუთვის რეგულაციის ძალაში შესვლის თაობაზე საქართველოში გაეროს სააგენტოთა ჯგუფმა განცხადება გაავრცელა: „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2022 წლის 31 დეკემბრიდან ძალაში უნდა შევიდეს თამბაქოს პროდუქტების სადა შეფუთვის რეგულაცია. ეს კანონმდებლობა ძალაში 2018 წელს უნდა შესულიყო, თუმცა მიმდინარე წლის ბოლომდე გადაიდო. ამჟამად საქართველოს პარლამენტში წარდგენილია საკანონმდებლო ინიციატივა მისი კვლავ გადავადების შესახებ. მოვუწოდებთ საქართველოს პარლამენტს, მხარი არ დაუჭიროს ამ ინიციატივას და იმედი გვაქვს, ეს რეგულაცია ძალაში მოქმედი კანონით განსაზღვრულ ვადაში შევა. საქართველოში თამბაქოს აქტიური და პასიური მოხმარების, მისგან გამოწვეული ძალზე დიდი ჯანდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური ზიანის შემცირების მიზნით 2017 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო თამბაქოს კონტროლის ძლიერი კანონმდებლობა, რომელიც მოგვიანებით ამ დარგის საერთაშორისო ექსპერტების და ორგანიზაციების მიერ აღიარებულ იქნა როგორც თვალსაჩინო რეგულაცია, რომელიც სამაგალითო გახდა მრავალი ქვეყნისთვის. ამ კანონის, ასევე თამბაქოს კონტროლის პოლიტიკის სხვა კომპონენტების წარმატებული დანერგვიდან უკვე 2 წლის შემდეგ, ქვეყანაში ჩატარებული კვლევებით, დაფიქსირდა თამბაქოს მოხმარების და თამბაქოს მეორადი კვამლით დაბინძურების მნიშვნელოვანი კლება, შემცირების ტენდენციები გაჩნდა მასთან დაკავშირებული დაავადებების მიმართულებითაც. აუცილებელია ჯანმოს თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის შესაბამისი ყოვლისმომცველი პოლიტიკის სრულფასოვნად და მდგრადად განხორციელება მიღწეული პროგრესის შესანარჩუნებლად და გასაღრმავებლად. თამბაქოს პროდუქტების სადა შეფუთვის კანონმდებლობა ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი რეგულაციაა, რომელიც მიმზიდველობას უკარგავს თამბაქოს პროდუქტებს და ამცირებს თამბაქოს მავნეობის შესახებ მომხმარებელთა შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. მივესალმებით საქართველოს სხვადასხვა მოწვევის პარლამენტის და საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებების მიმღებ პირთა მიერ არაერთხელ დაფიქსირებულ მტკიცე პოზიციას თამბაქოს კონტროლის რეგულაციების შეუფერხებელი ამოქმედების კუთხით. იმედს ვიტოვებთ, რომ ამჯერადაც საქართველოს პარლამენტი მხარს არ დაუჭერს სადა შეფუთვის რეგულაციის გადავადებას, და უზრუნველყოფს მის ამოქმედებას 2023 წლის დასაწყისიდან, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს დღევანდელი და მომავალი თაობების ჯანმრთელობის დაცვას“, - აღნიშნულია განცხადებაში.

**ამირან გურიელიძე**

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და აჭარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000,
ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ა
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა
გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 28/11/22, 22 00 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

# რატომ არის „პირველი ავტოგრაფი“ წარმატებული?

დახურვის ცერემონიას, რომელიც საყმაწვილო სასკოლო თეატრალური დასების ფესტივალ „პირველი ავტოგრაფის“ დასასრულ გაიმართა, ისევე ეტყობოდა, რომ ნამდვილად საბავშვო დღესასწაული მიდიოდა, როგორც მთლიანად ფესტივალს. ორგანიზატორებმა (შემოქმედებითი ორგანიზაცია ა(ა)იპ „არტ პორტალი“, ფესტივალის დირექტორი - მიხეილ გაბაიძე, სამხატვრო ხელმძღვანელი - პეტრე ჩარგეიშვილი) უდავოდ, შექმნეს სიცოცხლით სავსე ატმოსფერო, რომელიც საფესტივალო დღეებს თავიდან ბოლომდე გასდევდა. ამგვარ განწყობას ხელს უწყობდა მონაწილეთა წახალისების ფორმა, რომელიც ფესტივალის პირველივე სეზონიდან შეიმუშავეს მიხეილ გაბაიძემ და პეტრე ჩარგეიშვილმა - ყოველი საკონკურსო სპექტაკლის შემდეგ ისინი ხვდებოდნენ დასის წევრებს, მათ ხელმძღვანელებს, მონაწილეობისთვის გულითად მადლობას უხდიდნენ, ახალისებდნენ, მომავალი სეზონისთვის მოსამზადებლად აგულიანებდნენ და ფესტივალის სიგელებით აჯილდოებდნენ, მათთან სამახსოვრო ფოტოებს იღებდნენ და ავტოგრაფებს ატოვებინებდნენ ფესტივალის ბილბორდზე. ამგვარად როგორც მოზარდ შემსრულებლებს, ისე მათ ზრდასრულ ხელმძღვანელებს ნაშრომის დაფასებასაც აგრძნობინებდნენ და ახალი ნამუშევრების შექმნის სტიმულსაც აძლევდნენ.

„პირველი ავტოგრაფის“ არცერთ სპექტაკლს მაყურებელი არ აკლდა, ინტერესი ამ თეატრალური ფორუმის მიმართ ყოველდღე იგრძნობოდა, თუმცა, ბუნებრივია, ამ ინტერესის პიკი იყო ფესტივალის დახურვაზე, სადაც ნომინაციებში გამარჯვებულები უნდა დასახელებულიყო.

სანამ ცერემონია დაიწყებოდა, მოხალისეთაგან ორს - ანა-მარია დიასამიძესა და ალექსანდრა ვაზაგაშვილს გავესაუბრეთ, რომლებმაც ერთხმად გვითხრეს, რომ ფესტივალზე ძალიან ბევრი რამ გაიგეს, ნახეს და საუკეთესო დრო გაატარეს, ყველაზე მეტად სპექტაკლი „ცოფი“ (ნოდარ დუმბაძის „ძაღლის“ მიხედვით - სოფელ სალიბაურის №1 საჯარო სკოლის დასი) მოეწონათ და მომავალშიც სიამოვნებით ჩაერთვებიან ამ ფესტივალში.

ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში გამართული ეს ცერემონია რევაზ ლაღიძის სახელობის მუსიკალური სკოლის აღსაზრდელთა კონცერტით დაიწყო, ხოლო კალისტრატე ცინცაძის ბენდმა სადღესასწაულო ფონი ჩინებულად შესრულებული მუსიკით საღამოს დასასრულამდე შექმნა. კლასიკური და საგუნდო ნაწარმოებების მოსმენა, ვფიქრობ, კიდევ ერთი ფრიად სასარგებლო აქტივობა იყო მოზარდებისთვის, რომლებიც აქ შეკრებილი ფართო აუდიტორიის უმეტეს ნაწილს შეადგენდნენ. დადგა მომენტიც, როცა სცენაზე ყმაწვილი წამყვანები ანდრია თურაძე და ნია გოგიტიძე გამოჩნდნენ და მისალმების შემდეგ მაყურებელს საფესტივალო დღეების ვიდეოკოლაჟი შესთავაზეს. ფესტივალის ყოველი დღის მოკლედ ამსახველი ვიდეოების ეს ნაკრებიც კიდევ ერთი მიზეზი იყო ზეიმისთვის, მოზარდები ოვაციებით ხვდებოდნენ თავიანთი თანატოლების ეკრანზე გამოჩენას. ზეიმი შედგა მოხალისეებისთვისაც, რომელთა წახალისება-დაჯილდოებაც არ გამორჩენიათ ორგანიზატორებს. იქვე გათამაშებული ლატარიით ზოგი მოხალისე ფრანგულ-ქართულ სკოლაში ერთწლიანი კურსის უფასოდ გავლის შესაძლებლობით, ზოგიც ბათუმის დრამატულისა თუ თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო პროფესიულ თეატრების ოქროს ბილეთით დაჯილდოვდა (გარანტირებული ადგილები ყველა საფესტივალო ღონისძიებაზე).

სცენაზე მიწვეულმა ჟიურის წევრებმა (გოგა პიპინაშვილი, დათო ტურაშვილი და თანატოლი ჟიურის წევრის რანგში - მაია აბულაძე, დახურვას ვერ დაესწრო ჟიურის წევრი მუსიკისმცოდნე მანანა კორძაია) მათი ინიციატივით მოფიქრებულ რამდენიმე ნომინაციაზე და თავად ორგანიზატორების დაჯილდოებაზე გაამახვილეს ყურადღება. მწერალმა დათო ტურაშვილმა, სანამ პრიზებს გადასცემდა და, ზოგადად, ნომინაციებში გამარჯვებულთა გამოცხადება დაიწყებოდა, ერთგვარად შეაფასა ფესტივალი. მან ხაზი გაუსვა, რომ ყველა მონაწილე გამარჯვებულია, რადგან ჟიურის წევრები ჩვეულებრივი ადამიანები არიან საკუთარი გემოვნებითა და აღქმით, ამიტომ ვერანაირად იქნებიან ობიექტურები. ხოლო სუბიექტური გადაწყვეტილება არ ნიშნავს შეუმცდარ შეფასებას. დათო ტურაშვილის შეფასებით, ფესტივალი თავისი იდეითა და ორგანიზაციით მართლაც, არაჩვეულებრივია, როგორც მან თქვა, აქ აღმოაჩინა არაერთი უნიჭიერესი მომავალი მსახიობი, ასევე, „პირველი ავტოგრაფის“ წყალობით იპოვა პასუხი შეკითხვაზე: როგორ შევაყვაროთ მოზარდებს წიგნი. მისი თქმით, ეს ფესტივალი აღმოჩნდა საუკეთესო საშუალება ყმაწვილებისთვის წიგნის უმოკლეს დროში შესაყვარებლად. პატარებისთვის, ალბათ, ყველაზე დასამახსოვრებელი იქნება მწერლის ეს შეგონება, რომ თუ შეძლებენ ფესტივალის გამარჯვებულთა წარმატება საკუთარივით გაუხარდეთ და, საერთოდ, ამ პრინციპით - სხვისი წარმატების გაზიარებით თუ იცხოვრებენ მომავალშიც, საქართველო, მართლაც, ძალიან კარგი ქვეყანა გახდება.

მიხო გაბაიძესა და პეტრე ჩარგეიშვილთან ერთად, ფესტივალის მენეჯერ მამუკა კუპრაძესაც ხვდა წილად ჟიურის საგანგებო ჯილდო. **აქტუალური თემატიკისთვის** ჟიურიმ თავისი სპეციალური, ახლად მოფიქრებული პრიზი გადასცა ბათუმის მე-17 საჯარო სკოლის დასს „აისი“ სპექტაკლისთვის - „ეს არ უნდა მომხდარიყო“, ხოლო **ლიტერატურული ნაწარმოების საუკეთესო ადაპტაციისთვის** - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მე-5 საჯარო სკოლის დასს სპექტაკლისთვის - „მაწანწალა და ფერია“. „თანატოლი ჟიურის“ რანგში მოსწავლე მარიამ აბულაძემ გამოავლინა თავისი რჩეული **„საინტერესო პერსონაჟის“** ნომინაციაში - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერიის საჯარო სკოლის თეატრალური დასის „სოხუმი“ წევრი მარიამ ხუჯაძე სპექტაკლში „დედა“ (ნოდარ დუმბაძის მიხედვით) ნინის როლის შესრულებისთვის და თავისივე შერჩეული პრიზი გადასცა. მომავალ წელს სწორედ მარიამ ხუჯაძე მოგვევლინება „თანატოლი ჟიურის“ ამპლუაში.

სანამ ძირითად ნომინაციებში გამარჯვებულთა ვინაობას დაასახელებდნენ, ორგანიზატორებმა მიხეილ გაბაიძემ და პეტრე ჩარგეიშვილმა კიდევ ერთი ახალდაწესებული - **ქართულ თეატრსა და კინოში შეტანილი წვლილისთვის მსახიობ ბერდია ინწკირველის სახელობის პრიზის** შესახებ გვამცნეს, რომელიც მსახიობის შვილმა ქეთევან ინწკირველმა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელვაჩაურის პირველი საჯარო სკოლის თეატრალური დასის „ანცები“ წევრს გუგა კაკაბაძეს გადასცა.

როგორც ფესტივალის ანონსშივე ვიუწყებოდით, ნომინაციაში **„დიდი ბავშვი“** წლის პრიზი კომპოზიტორ დავით მალაზონიას გადაეცა.

მაშ, ასე! ნომინაციებში გამარჯვებულები არიან:

**საუკეთესო ქორეოგრაფიული ნამუშევრისთვის** - ბათუმის მე-14 საჯარო სკოლის დასი „მე-14 დასი“ სპექტაკლისთვის „მიჩი“; **საუკეთესო მუსიკალური გაფორმებისთვის** - ბათუმის მე-20 საჯარო სკოლის დასი „მართვე“ სპექტაკლისთვის „ჩხიკვთა ქორწილი“; **საუკეთესო მხატვრობა/სცენოგრაფიისთვის** - ბათუმის სკოლის „ევრო - 2000“ დასი „სახილველი“ სპექტაკლისთვის „პატარა პრინცი“; **საუკეთესო ვაჟი (მოსწავლე) მსახიობი სახასიათო როლისთვის** - გიორგი სურმანიძე, ხელვაჩაურის დაბა მახინჯაურის საჯარო სკოლის დასის „მზიური არტე“ სპექტაკლში „თეთრი ზღაპარი“ ფოტოგრაფის განსახიერებისთვის; **საუკეთესო გოგონა (მოსწავლე) მსახიობი სახასიათო როლისთვის** - ლანა ტაკიძე, ხელვაჩაურის სოფელ ფერიის დასის „სოხუმი“ სპექტაკლში „დედა“ მხვეტავი ზინას განსახიერებისთვის; **საუკეთესო ვაჟი (მოსწავლე) მსახიობი მაღალმთიანი სტატუსის მქონე სკოლიდან** - რენარი შავაძე ხულოს სოფელ ბოძაურის საჯარო სკოლის დასის „განთიადი“ სპექტაკლში - „ქელეხი“ ბუღალტრის განსახიერებისთვის; **საუკეთესო გოგონა (მოსწავლე) მსახიობი მაღალმთიანი სტატუსის მქონე სკოლიდან** - მარი მახარაძე,შუახევის სოფელ ფურტიოს საჯარო სკოლის დასის „მთის ძალა“ სპექტაკლში „ვირუკას საოცარი თავგადასავალი“ (ბადრი თევზაძის ნაწარმოების მიხედვით) ვირის განსახიერებისთვის; **საუკეთესო დასი** - ბათუმის №1 საჯარო სკოლის დასი „სარკე“ სპექტაკლისთვის „საკლასო ოთახი წიგნის გარეშე“ (სცენარის ავტორი - ტარიელ კიკვაძე); **საუკეთესო ვაჟი (მოსწავლე) მსახიობი** - გიორგი კონცელიძე, ხელვაჩაურის სოფელ სალიბაურის №1 საჯარო სკოლის დასის „სალაღობო“ სპექტაკლში „ცოფი“ ბადრიას და მებუფეტეს განსახიერებისთვის; **საუკეთესო გოგონა (მოსწავლე) მსახიობი** - ნია თედორაძე, ქობულეთის დაბა ჩაქვის წმიდა კეთილმორწმუნე მეფე დავითის სახელობის სკოლის დასის „არია“ სპექტაკლში „გაყრა“ შუშანის განსახიერებისთვის; **საუკეთესო რეჟისორული ნამუშევრისთვის** - მარინა ბურდული, ბათუმის №2 საჯარო სკოლის დასის „სახიობა“ სპექტაკლის „სათაგურის“ დადგმისთვის; ფესტივალის მთავარი პრიზი **საუკეთესო სპექტაკლისთვის** ჟიურის ერთსულოვანი გადაწყვეტილებით ხულოს მუნიციპალიტეტის ხიხაძირის საჯარო სკოლის დასს „გამოძახილი ხიხანიდან“ მიენიჭა სპექტაკლისთვის „აჭარელი მოხუცები“. ჟიურის წევრები აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ ამ დადგმასთან დაკავშირებით და ხაზს უსვამდნენ, რომ ეს არის ყველაზე სწორად შერჩეული თემატიკის და კარგად გააზრებული ემოციური სპექტაკლი, რომელიც საქართველოს ყველა რეგიონში უნდა ნახონ. სხვათა შორის, სცენაზე პრიზის გადასაცემად ასულმა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა ამ დასთან დაკავშირებით სიურპრიზებით სავსე ამ საღამოს კიდევ ერთი დაუმატა, როცა განაცხადა, რომ „ხიხანის გამოძახილი“ აუცილებლად დაფინანსდება გასტროლებისთვის. „აჭარელი მოხუცების“ დამდგმელი რეჟისორი ნანა ხალვაში ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელი გახლავთ, პიესაც მისივე დაწერილია სპექტაკლის მონაწილე მოსწავლეების საკუთარ ბაბუებზე მონათხრობის მიხედვით. ამ ისტორიამ ნამდვილად შეძრა მაყურებელი.

„სკოლის დირექტორის მოადგილედ ვმუშაობდი კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის დარგში, ამიტომ ვეხმარებოდი ბავშვებს სასკოლო ღონისძიებების მოწყობაში. შარშან ზამთარში ამ, მე-12, კლასის, მოსწავლეებთან დავდგით სპექტაკლი „პატარა დასი“, რომელიც მაყურებელს ძალიან მოეწონა. ამ ბავშვებში, ნამდვილად, არსებობს თეატრალური პოტენციალი. ხელოვნება მეც ძალიან მიყვარს და ვიშრომეთ, როგორც შევეძლო. ფესტივალის შესახებ სოციალური ქსელის მეშვეობით გავიგეთ, დავუკავშირდით ორგანიზატორებს და მონაწილეობაც მივიღეთ. მანამდე არც ვიცოდი, რომ ორგანიზატორი ხიხაძირელი მიხეილ გაბაიძეა. არ გვინდოდა, ვინმესთვის მიგვებაძა. გავითავისეთ მაღალმთიან აჭარაში მცხოვრები მოხუცების ტკივილი. ამით მთელ საქართველოს ვაჩვენეთ მიტოვებული სოფლების, მარტო დარჩენილი მოხუცების გასაჭირი. ეს ხომ ძალიან გულსატკენია. თვითონ ბავშვები ძალიან აქტიურები არიან, ამიტომ არ გამჭირვებია მათთან მუშაობა და ერთ თვეში დავდგით სპექტაკლი, - გვითხრა გამარჯვებული სპექტაკლის რეჟისორმა-მასწავლებელმა, რომელმაც, როგორც ხედავთ, ტოლი არ დაუდო პროფესიონალებს.



გამარჯვებულის დროშა, რომელსაც ერთი წელი ბათუმის №1 საჯარო სკოლაში ედო ბინა, თეატრის დირექტორმა ნატალია მგელაძემ გულითად მილოცვასთან ერთად ხიხაძირის საჯარო სკოლის დირექტორ არჩილ ხალვაშს გადაულოცა

ჟიურის თავმჯდომარე გოგა პიპინაშვილს ფესტივალის შეფასებასთან ერთად ისიც ვთხოვეთ, რჩევა მიეცა თეატრალური დასებისთვის შემდგომში სპექტაკლების მხატვრული ხარისხის ასამაღლებლად, რისი სურვილიც მან დახურვის ცერემონიაზე გამოთქვა: „ძალიან მნიშვნელოვანი საქმე კეთდება ამ ფესტივალით. სიტყვები არ მყოფნის, იმის სათქმელად, როგორ სჭირდება ჩვენს მოზარდებს ასეთი გვერდით დგომა. მთელი ერთი კვირა ვხედავდი, როგორი ჟივილხივილი მოჰქონდა ამ ფესტივალს, იყო ძალიან დიდი ინტერესი ყველას მხრიდან, მათი, ვინც იდგა თუ არ იდგა სცენაზე. არაჩვეულებრივი, წარმოუდგენლად ლამაზი იყო ეს ყველაფერი. თავიდან ჩემი საბავშვო თეატრალური სტუდიის სპექტაკლით ვაპირებდი მონაწილეობას, მაგრამ რამდენიმე მოზარდი ვერ წამოვიდა თბილისიდან, ამიტომ ეს აღარ გამოვიდა, მაგრამ იმდენად მინდოდა ამ ფესტივალში ჩართვა, რომ ხელმძღვანელებმა მომიწვიეს ჟიურიში და ეს დღეები წარუშლელი შთაბეჭდილებებით დარჩება ჩემს მეხსიერებაში. პირველი ნაბიჯებისთვის ეს ყველაფერი არაჩვეულებრივია. ჩემი შეხედულებით, მხოლოდ ფესტივალზე არ უნდა გაამახვილონ აქცენტი თეატრალურმა დასებმა. პერმანენტულად უნდა დგამდნენ სპექტაკლებს და ვითარდებოდნენ. სწავლობდნენ, შემდეგ კი თავიანთი ნამუშევრებიდან საუკეთესო წარადგინონ ფესტივალზე, ანუ არა ფესტივალისა და ერთი სპექტაკლისთვის უნდა ემზადებოდნენ, არამედ უფრო მაღალ საფეხურზე ასავლელად - რამდენიმე სპექტაკლიდან საუკეთესო შეარჩიონ საკონკურსოდ. ეს სელექცია გამოიწვევს ხარისხს, დონეს, აამაღლებს პროფესიულ დამოკიდებულებას, წიგნთან ურთიერთობას შეაჩვევს მოზარდებს. ვიმედოვნებ, ყველაფერ ამას გაითვალისწინებენ და ეს იქნება ძალიან წარმატებული ფესტივალი, კიდევ უფრო მეტ სკოლას გაუჩნდება მასში მონაწილეობის სურვილი“, - ასეთი გახლდათ ბატონი გოგას რჩევა, რომლის გათვალისწინებაც, მართლაც, მეტ წარმატებას მოუტანს სასკოლო თეატრალურ დასებს.

გაზეთი „აჭარა“ კიდევ ერთხელ უსურვებს „პირველ ავტოგრაფს“ მუდმივ განვითარებას, აღმასვლას, ხოლო თეატრალური დასების საყურადღებოდ გავიმეორებთ, რომ თანდათან აუცილებლად გამოვაქვეყნებთ ყველა სასკოლო დასის სპექტაკლზე გამოხმაურებას, ვინაიდან გაზეთის სპეციფიკიდან გამომდინარე, უფრო სწრაფად, ეს ვერ მოხერხდა.

და ბოლოს, მართალია, ფესტივალის ყველა მხარდამჭერს, მათი სიმრავლის გამო, ვერ ჩამოვთვლით, მაგრამ აუცილებლად კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ მისი ოქროს პარტნიორები არიან აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო და ბათუმის მერია. ისიც აუცილებლად უნდა ვთქვათ, რომ „პირველი ავტოგრაფის“ გვერდით ყოფნის სურვილი სულ უფრო მეტ დაწესებულებას და კომპანიას უჩნდება, რაც მის მზარდ პერსპექტივაზე მეტყველებს.

**მარინა მითაიშვილი**